# ცისკარი

1861

სეკტემბერი.

წელიწადი მეხუთე.

## ჩოდება თხზულებათა:


I. —პირველნი მოსახლეობანი, ანუ ხიზანნი ახალს ჰოლანდიაში. —

II. —ლექსები სხუა და სხუა მწერალთა.

III. —განხილვა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის ძიებისა — იოს. საყვარელიძისა.

IV. —ადგილმამულის მართვა.

სიკვდილი ბუნებაში. — ნ. ბაქულისა.

ბოსტნის მემამულეები. — მისავე.

V. —კახეთში მოგზაურობითგან. — კერესელიძისა

VI. —პასუხს პასუხი. — ქნ. ბარბარე ჯორჯაძისა



ტფილისი.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

# ცისკარი

ქართული

# სალიტერატურო ჟურნალი

გამოცემის ივ. კერესელიძის მიერ.

სეკტემბერი.

წელიწადი მეხუთე.

19.

« თუ შეიყვარო სმენად, — მიითვალო, და
უკეთუ მიუპყრა ყური შენი, — ბრძენ იქმნე. »
(წიგ. ისო ზირ. თავი 6 მუხ. 34.)

---

ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

1861

Печатать позволяется. Мая 20 дня, 1861 года.
Испр. должн. Груз. Цензора Св. Алексѣевъ.

პირველნი მოსახლოებანი, ანუ ნიშანნი ახალს გოლანდიაში.

ახალი გოლანდია აქამომდე არის მხარე ბნელი, გამოუკვლეველი, ბურვილი ტყეები, გუბეები, ზავხულის თვეეში გულის შემაწუხებელი პაპანაქება, და მთიულნი კაცის მჭამელნი ხალხნი, — აი, ესე ყოველივე წარმოადგენენ საშინელს დაბრკოლებასა იმისს გამოკვლევისათჳს.

წარსულის საუკუნის დასასრულს ახალი გოლანდია ევროპიელებმა სრულებით არცკი იცოდნენ; იმ მხარეზედ არავინ არ ფიქრობდა; არავინ არ მიაქცევდა იმაზედ ყურადღებასა. მაგრამ ყოველმა კაცმა იცის, რომ ანგლიის ხალხსა წყალი ბევრი აქჳს და მიწა ცოტა; ამისთჳს დიდის ხნიდამ ფიქრობდნენ ისინი, რომ სადმე დაეჭირათ მცირედი მაინც ნაწილი მიწისა, რომ იქ დამყარე.

ბულიყვნენ, აეშენებინათ ციხე, და მისავარე-ბელი ხომალდისა. ახალი გოლლანდია არის კუნძული დიდი, თვითქმის ევროპიის ტოლი და ის წარმოუდგებოდა ანგლიელებთა მამ-ზიდველად მეველებულთა მოგზაურთა აღწე-რილობათა მეტრ, თვით იმის სიშორე სხჳა ქვეყანებზედ, თვით მისი დაფარულება განა-ცხოვლებდა თვით ცივსა გამოსატყულებასა. დიდრონი ხეები, უჩვეულო სივრცის სხჳა და სხჳა მცენარეები, უცხო მხეცნი და ფრინ-ველნი, რომელნიც არა ჰგვანან არცა ერთსა ჩუენთა ფრინველთა და მხეცთა, ფუნხარობის სურვილი, სურვილი სხჳა და სხჳათა გამოჩენათა, წყურვილი ოქროსი, შეერთებულნი ოც-ნებითა იმედთა თანა ამლევდენ ახალის გო-ლლანდიას უთქმის ოცნებითს სახეს. როგორ არ გავიქცე იმ მხარეს, ფიქრობდნენ მრა-ვალნი მათგანნი, სადაც რასაც მოჰკიდებ ჴელსა შენსა, და რაც მოინდომო, გააკეთე, როგორც შენს მინდორზე. შენს ბაღში, შენს სახლში და იქნება რომ სრულიად ის მხარე იყოს მშჳენიერი ბაღი? იქნება იქ მრავალნი ბუნებითნი ლითონნი, ესე იგი ვერცხლნი, ოქრო და სხჳა ეწყოს მიწაში

წყლობათ და იმათსას, როგორც რიყის ქჳსაგან, მათის ხალხნი იკეთებდნენ თავისთჳს ქოხებსა, მაგრამ ანგლიელები წავიდნენ ახალს გრე-ლანდიაში არა წინდაუხედაობით, არამედ საჭიროებით, შემდგომ ზევრის და მლიეგ-რის დაფიქრებისა. ეს საჭიროება მდგომა-რეობდა აი რაში: ამერიკის შტატები (სამ-თავრონი, ანუ ქვეყნები,) რომელნიც ეკუ-თვნოდნენ ანგლიელებსა, განთავისუფლდნენ მათის უფლებისაგან, და 1783 წლიდგან შეიქმნენ თავისუფალნი, ესე იგი იწყეს თჳთ თავით თჳსით მართველობა. ამ ამერიკის ქვეყნებში ანგლიელები ასაღებ-დნენ მალიან მოგებით თავის სავაჭროსა და გზავნიდნენ ხოლმე იქა დასასახლებელად თა-ვიანთ ტყუსაღებსა და იმ წლიდგანვე ეს ყო-ველივე უნდა მოსპობოდათ მათ: ტყუსაღები ამერიკის შტატებმა აღარ მიიღეს, ვაჭრობა ანგლიელებისა უნდა ყოფილიყო იმათთან ერთმანერთის თანხმობითა, მაშასადამე ანგ-ლიელებს უნდა ეპოვნათ სადმე სხვა მიწა ანუ ქვეყანა, რომელსაცა შესძლებოდა მა-გიერობა დაკარგულისა სამხრეთის ამერიკისა და ამისთჳს გარდასწყვიტეს დაპყრობა ახალის

გოლლანდიისა და, რადგან ის არც ერთს ევროპიის სახელმწიფოს არ ეკუთვნოდა; მაშასადამე იმის გულისათჳს არც დავას და არც ჩხუბს მათ ვერავინ აუტეხდა.

**1787** წელში, დიდის მოსწრაფებით განამზადეს თერთმეტი ხომალდი; ორნი იმათგანნი ეკუთვნოდნენ ანგლიის მართებლობასა; ცხრა კერძოპირებს. ექვსი გაავსეს ტუსაღებითა; სამში იყვნენ საჭმელი სასმელნი, ორის წლის ხარჯი, მიწის სამუშაო, თესვის საჭურნი, და სანადირო იარაღები, სახლის ავეჯეულობა, და სხვანი მიუცილებელნი ნივთები ცხოვრებისათჳს. უფროსად ხომალდებისა და გუბერნატორათ მომავალს სამფლობელოესა იყო დანიშნული არტურ ფილლიპე. ამას ჰყვანდა თანა რამოდენიმე ჩინოვნიკნი და ოფიცრები, ერთი ექიმი და ერთი მოსამართლე მსაჯული; ტუსაღი კაცი იყო ხუთას სამოცი, ქალი—ას ოთხმოცდა ათი, და ამას გარდა თვრამეტი პატარა ბავშვი, ტუსაღების შვილები.

ტუსაღები უმეტესი ნაწილი იყვნენ დაბორკილნი, მაგრამ მათთჳს თჳთ მძიმე დასასჯელად იყო ის, რომ მათ გზავნიდენ

ესრეთ მორის და ყცნოზს მხარეში იმ დროს, რომელსაც გამგზავრების წამში, ზღვს სალ-დათებსა და აფიცრებსა უხაროდათ, დაიმედე-ბულითა, რომ იშოვნიან დიდს სიმდიდრესა და მიიღებენ მართებლობისაგან ჯილდოსა. საცოდავნი ტყუსალნი, მდუმარენი, დაღონე-ბულნი იდგნენ, სხვანი დრტვინავდნენ და ზოგი მოთქმით სტიროდნენ. ერთს დედასა, იმედ მიხდილისა უნდოდა გადაეგდო თავისა შვილი ზღვაში; მაგრამ ბაშვ ისეთის გრძ-ნობით ჩაეკრა გულში და ისე მაგრათ მოხ-ხვა პატარა ხელები ყელზედ დედასა, რომ ვეღარ გამოიმეტა იგი დასაღუპავად. მოხუცებულნი, არც ერთს წამს არ აშორებდა თვალსა სამშობლო წყლის პირ-სა, რომელიც ყოველწამ უფრო და უფრო იმალებოდა იმის თვალთაგან, და რომელსაც სრულებით დაიმალა ვიდე სამშობლოს მხა-რისა, მუხლები მოეკვეთა, ათრთოლდა და უგონოდ დაეცა ხომალდის ქორედზედ (პა-ლუბაზედ.) ხშირად, ხან აქ, ხან იქ, ისმოდა მძიმე ოხვრანი და წკარუნი რკინის ბორკი-ლებისა. ტყუსალები იყვნენ ორ ნაირათ უბე-დურნი, და თვით თვისის ცუდის ყოფაქცევით

უმატებდნენ კიდევ ახალს უბედურებას. გულის ხანდისხან მცირედი შეუმსუბუქდებოდათ ხოლმე, როდესაც შეხედავდნენ პატარა ბავშვებსა, რომელნიც უზრუნველად თამაშობდნენ ხომალდზედ.

მაგრამ სხვა როგორც ნება ყოფილითა, აგრეთვე დასჯილითა მოცურავეთა იყო გადაწყვეტილი: უბერავდა ზურგს ქარი, აფრის ქსელები გაიბერნენ; ხომალდები მიფრინავდნენ. ისინი დადგებოდნენ ხოლმე ხან კუნძულზედ ტენერიფისა, ხან რიოდეჟანეირისა და მოიმზადებდნენ ხოლმე სხუა და სხუა ხეებსა, მცენარეებსა, ცხენებსა, რქიანსა და ურქოსა საქონელსა მოსაშენებლად ახალს ადგილზედ თვისის მოსახლობისა

ცურვა, ანუ მოგზაურობა ზღვით სხუა და სხუა დაყოვნებათაგან იყო საკმაოდ გრძელი. ამა მოგზაურთა ზღუაშიდ განატარეს შვიდი თვე წინეთ დაუხედაობისა გამო ზოგი ერთთა, რომელნიმე ხომალდნი არ იყვნენ შემკობილნი სპილენძით, ამისთჳს იგინი დალპნენ, დაინგრნენ, იმათში გამოჩნდა წვეთი; საჭირო შეიქმნა წამ და უწყუმ წყლის ამოსხმა გემებიდამ, ქარის ანუ ზღჳს ადგილ-

გემის დროს, ეშინოდათ, რომ გემები არ დაღუპულ იყვნენ; კაპიტნები ხომალდისა შიშით და შეწუხებით უყურებდნენ ერთმანერთს და ფიქრობდნენ: რა უნდა ექმნათ მაშინ, როდესაც გემები იწყებდენ დაღუპვასა. თუ რომ რამდენიმე დღე კიდევ გასულიყო ამ მდგომარეობაში, აღარ იყო არავითარი იმედი; გემები ჩავიდნენ ზღვს ძირზედ. მაგრამ ამ დროს გამოჩნდა კიდე და მოგზაურნი დიდის სიხარულით მიაშურებდნენ ხმელეთს, არა მიმხედი მისა, რომ ზოგი ერთთათვს ის ხმელეთი უნდა ყოფილიყო სასაფლაოთ და ზოგთათვს, საფლავამდინ—ადვილით მძიმეთ შრომითა და საყვარლო მამულიდამ განდევნილობათა. მაგრამ იმ წამში ეს არავის აგონდება, ყოველს კაცს უნდოდა იმ დროს მხოლოდ ერთი,—დაედგა ფეხი მიწაზედ, ეგრძნო, რომ ამის ქვეშ აღარ არის წყალი, ზღვა; უნდოდა სუნთქვა ჰაერითა, რომელშიაც ისმის სუნი მცენარეულობისა. გაეგონა ხმა მფრინველებისა და პირუტყვებისა, ანუ მყუდროებაში დაესვენა დამღალველის ღელვებისა ხმისა, და ზღვს უბრძანებლობისაგან. ეს სა-

სიამოვნო მოლოდება იყო დაფუძნებული მოთხრობაზედ კუკისა, რომელიც უწინ ყოფილიყო კიდეზედ ახალის გოლლანდიისა.

მაგრამ კუკს ენახა ის მხარე შორიდამ, ის შიგნით არ შესულა. დიდროვანთა ხეებთა და ბალახებთა, რომელნიც მას ენახა, აფიქრებინეს მას, რომ იქ უნდა ბუნება იყოს მდიდარი, მშვენიერი.

ეს შეცთომა ჩინებულის ზღვის მოგზაურისა მალე გამოჩნდა. მივიდენ რა კიდეზედ ბოტანიბეისთან, აღმოსავლეთის კუთხეზედ კუნძულისა, არტურ ფილლიპმა იმ საათშივე წავიდა დასაშინჯავათ ადგილებთა და პირველი წამშივე დარწმუნდა, რომ ის ადგილი სრულიად არ ვარგოდა დასასახლებელად: ყოველგან მიწა იყო ქვიშიანი, უნაყოფო, იყვნენ გაყვანილნი დიდრონი გუბენი, რომელთაც ამოდიოდა მაღალი ლერწამი, და ამისთვის იყვნენ მავნებელნი სიმრთელისათვის დამპალის წყლისგამო. რამდენიც შიგნით და შიგნით შევიდა, მან ჰპოვა მიწა ცოტა უკეთესი; მაგრამ იქ არ იყო არც წმინდა წყალი, არც მდინარეები;

არც ლელიები, თჳთ ზღჳს ტოტი, რომელიც ჰგავდა კარგს ნავთსადგურს აღმოჩნდა საფიქრებულად გემებისათჳს, რადგან მთელი გახსნილი იყო ქარებისათჳს, არ იყო ღრმა და იმაში იპოვებოდა მრავალი თავთხელები და ქჳშნი.

დადგომა იქა და დაფუძნება მოსახლეობათა ფიქრათაც არ იყო მოსატანი, მიწაზედ სადაც მრავალი რამე არის ჩვენგან დაფარული თჳთქმის საშუალი კეთილი სასიამოვნოთა გარემოებათა და მდიდარის ბუნებისაც, ხშირად ვპოვებთ მრავალსა სხვა და სხვა დაბრკოლებასა; და აქ კარგაც არარა წარმოუდგებოდა ფილლიპსა, თუმცა მას ჰქონდა ბძანება თავის მართებლობისაგან, რომ სახელდობ გასულიყო თავის ხალხით კიდეზედ ბოტანიბეხთან; გარნა მან გარდასწყვიტა ძებნა უმჯობესი ნავთსაყუდელი და დაუტევა რა გემები იქ დაჰყვა კიდესა რამოდენისამე ოფიცრით და არჩეულის მატროსებით პატარა ნავებზედ რომლისაც განელო თექსმეტი მილი, იმან დაინახა პატარა ტოტი, სადაც როგორც მტკიცობდა, შეეძლოთ შესულიყვნენ მხოლოდ

პატარა გემები. იმის კიდეები არაფერს სანუგეშოს არა წარმოადგენდნენ: ყოველის მხრივ სჩანდნენ: კლდეები, ქვები და ქჳშა; სანახავათ თვალითათჳსკი დასახატავი იყვნენ თავისის ველურობითა და დაღვრემილობითა, მაგრამ მყუდროლობა კაცს ვერ გაამძლობს. ფილიპემ გარდასწყვიტა შესვლა ტოტში და მოვიდა აღტაცებაში, რომელსაც თვალწინ წარმოუდგა მშვენიერი ნავთ სადგური. ღრმათ მიწაში შესული, განიერი, რომელიც სიღრმით საკმაო იყო თვით დიდრონის ხომალდებისათჳს და იმის გარდა იყვნენ იქ მრავალნი პატარა ტოტები, რომელშიაც ცუდის ტაროსის დროს შეეძლოთ დგომა სრულის მოსვენებით და უშიშრებით. ფილიპეს ისე იამა ეს, რომ აღარ შეუდგა შემდგომსა დამინჯევასა, დაბრუნდა ბოტანიბეში და უბძანა გემებს წასვლა იმ მხარისაკენ. ამ გვარმა გამოჩენამ გააცოცხლა მგზავლიანი; თვით სასოწარკვეთილნიცა, მგზავრთა კიდევ წარმოუდგებოდა მშვენიერი ხეები, ოქრო და მრავალი ქვები. ტყისალების პირველი სურვილი იყო, რომ მალე გასულიყვნენ წყლის პირას, რომ მალე დაემსახუ-

რუმბისით ანუ ლიოის გამხდარიყვნენ ზოოვილიუმის ახსნისა; შემდგომ ფიქრობდნენ მელოთ სრული მიტევება დანაშაულობისა და მისცემოდათ თავისუფლება ოქროვანი და დაბრუნებული იყვნენ მურვასს საშობლოში. მომხადებანი მათნი დუღდნენ — ამ დროს უცებ შეელია გაჰკრდა მოულოდნელის მოჩვენებითა: დაინახეს რომ შორს, მაღლიან შორს, ზღვაში, როგორც ერთი თეთრი ფრინველი, გამოჩნდა ერთი იალქანი ხომალდისა. სასიამოვნოა ნახვა უდაბნოში ერთის ტომისა ანუ შთამომავლისა კაცისა; უფრო სასიამოვნო არის • უხალისო უდაბნოში ზღვისა; ხილვა ოკეანოში, რომელიც მაშინ კარგათ არა ჰქონდა გამინჯული და იყო დაშორებული ყოვლის განათლებულის სახელმწიფოთზედ, ნახვა ევროპიელის კაცისა ანუ ევროპიელის გემისა...

უნდა კაცი იყოს მეზღვე რომ გაიგოს, ანუ მიხვდეს ამ გვარს გრძნობას. ინგლიელები ვერ წარმოიდგენდნენ თუ საიდამ, ანუ რომლის ქვეყანიდამ უნდა ყოფილიყვნენ ის მცურავნი, და შემდგომ, როდესაც მიახლოვდნენ თეთრის დროშით, იცნეს, რომ ისინი

იყვნენ ფრანცუზნი: გამოჩენილი ზღვაში მოსიარულე ლაპერუზი სხუა და სხუას სამო-გზლითა, დადიოდა დიდი ოკეანოში, რომლისათვის კამჩატკაში, მან დაჰყო რამდენიმე ხანი; მას უთხრეს რომ ანგლიელებმა დააფუძნეს კო-ლონია, და მას მიმართა მათკენ დაიმედოვნე-ბულიმან, რომ მიიღებდა მათგან საჭირო საქმეებს მათთჳს, მაგრამ ნახა, რომ ეს მო-სახლეები ჯერ ხომალდებიდამაც არ გამო-სულიყვნენ; ფრანცუზებმა და ანგლიჩანებმა მოიკითხეს ურთიერთი, ისურვეს ბედნიერება და დაშორდნენ. საწყალის ლაპერუზისა და იმის ამხანაგებისათჳს ეს იყო უკანასკნელი ნახვა ევროპიელითა კაცთა. ამის შემდგომ ის და-კარგა სრულიად თჳსის ამხანაგებით ზღვაში, და შემდგომ ორმოცის წლისა სახელდობ ჩვენს წელსში, ნახეს ნატეხები იმათის ხო-მალდისა ერთს კუნძულზედ დიდის ოკეანისა.

ანგლიჩანები იმავე საათს იდგნენ ყურე-ში, რომელსაცა ეხლა ეწოდება პორტ ჯეკ-სონი. როგორც გავიდნენ წლის ათასა. მათ ჩვიდმეტისაგან ყოველთა, რომელნიცა პირველად დაიპყრობენ რომელსამე ქვეყა-ნასა, გამოაცხადეს ანგლიის ზაირიზი და ამან მისი

ჩაარჭვეს ახალის გოლლანდიის ქვიშაში, ეს ნიშნავდა, რომ იმ დროიდამ ახალი გოლლანდია ეკუთვნოდათ მათ.

როდესაც მთიერთ იქაურთ კაცთა დაინახეს ეს ახალი მათთვის ხალხი, იფიქრეს, რომ ისინი რაღასაც შეექცევიან, უყურეს რამდენიმე ხანი და წავიდნენ თავიანთ მთებსა და კლდეებში.

მაგრამ აქ საქმე სახუმრო არ იყო, **1788** წელი, სახსოვარი უნდა იყოს ყველასათვის; მაშინ 26-ს იანვარს ჩაეგდო საფუძველი ახალის სახელმწიფოს, და ეს სახელმწიფო შენდებოდა, თითქმის ჩვენს თვალწინა, და როგორი ხალხი იყო მონაწილე პირველის იმის შენობისა? ქურდნი, ავაზაკნი და სხვა და სხვა ჰსჯულის გარდამავალნი. მაგრამ იმაში მდგომარეობს ქება და ნამსახურობა პირველის მაშინდელის გუბერნატორისა, რომ მრავალნი მათგანნი შეიქმნენ პატიოსან კაცად, და მიუბრუნდნენ კეთილშობილურთა საქმეთა; შრომათა და კეთილთა გრძნობათა.

ფილიპე შეუდგა თავის საქმეს დიდის ერთგულებით; მაგრამ პირველსავე შემთხვევა-

ში დაინახა სასტიკი შეცთომა თავისის მართებლობისა: მისთჳს საჭირო იყვნენ მიწის მუშანი, დურგლები, კალატოზები და სხუა ჴელოსნები, მაშინ, როდესაც ტყუსალნი იყვნენ უმეტესი ნაწილი მცხოვრებნი ლონდონისა, ფაბრიკებში, და არ იცოდნენ არავითარი არც ხელოსნობა და არც მიწის მუშაობა, რომელიც საჭირო იყო გლეხკაცურს ცხოვრებაში. ისინი, რომელთაც მცირე რამე ესმოდათ ამებისა ყველაზედ წინ გაასხეს წყლის პირზე; ისინი იყვნენ ას კაცამდის. მათ მაშინვე დაიწყეს შენება სახლისა გუბერნატორისათჳს იმ მასალებიდგან, რომელნიც ლონდონშივე იყო მომზადებული და იქ მიტანილი ხომალდებითა; იმავე დროს დასდვეს რამდენიმე კარავი ავათმყოფთათჳს და გააკეთეს ბაკი საქონლისათჳს, რომელიც გადარჩა შემდგომ დიდხნის მოგზაურობისა. მაგრამ ზოგი დაღალვისაგამო ზღვით მოგზაურობაში, ზოგი ახლის ჰავისა და ზოგი მწუხარებისაგამო რიცხვ ავათმყოფთა მრავლდებოდა; მაშინვე სხუა, მუშაობაზედ ჴელი აიღეს და დაიწყეს შენება დიდის ლოშპიტლისა, ზოგმა დაიწყო შენობა,

რომელსაც აბსერვატორია ჰქვან ასტრონო-
მიულის სწავლისათვს.

ბოლოს გამოსხნეს დანარჩენი ტყუსალებიც და დასცალეს გემები; დასჭირდათ მაღაზია დასაწყობად სარჩოსი და აქ პირველად, შექ-მნიდგან სოფლისა, ახალი გოლიანდიის ტყე-ბში გავარდა ხმა ცულისა; ამოსჭრეს დიდი სივრცე ტყისა; ტყე შეაგროვეს ერთად, ადგილი გასწმინდეს და რაც შეიძლებოდა გაასწორეს. ღუბერნატორმა მოინდომა თა-ვისი შესვლა ახლის ქალაქისა გამგეობაში გამოეცხადებინა რომელსამე დღესასწაულე-ბითა მოწმენდილს ველზედ. შორის ბნელ-თა ტყეთა, გაეწყო კარვები; ტყუსალები იდგნენ სალდათითა და მოშორებით კარვებ-ზედ: მახლობლათ ფილიფსა იდგნენ აფიცე-რები და ჩინოვნიკები; გამოვიდა მსაჯული, წაიკითხა განკარგულება ანგლიის მართებ-ლობისა ფილიფს დანიშვნაზედ გუბერნატო-რად და დაწესებაზედ სასამართლო ადგილე-ბთა დასაცავათ სიმართლისა და წესისა. შემ-დგომ წაკითხვისა გავარდა თოფები და ზარ-ბაზნები. გუბერნატორმა ჰსთქვა შესხმა, სალ-დათთა და ტყუსალებთა მიუგეს მას სიხარუ-

ლის ხმიანობით· ყოველივე ესე დასრულდა საყოველთაო ლხინითა.

ესე ყოველივე თითქო ჩვეულებითი იყო სხოლაც შესხმაც და შექცევაცა; მაგრამ ყველა გრძნობდა, რომ იმ დროს და იმ ადგილს სრულდებოდა რაღაც უჩვეულო, დიდი და პოეტიკური: დიდი და პოეტიკური იყო ის, რომ მიწაზედ, სადაც უწინ არა ყოფილიარა თჳნიერ ვრდომისა, ავლებისა და მტაცებლობისა, პირველად გაიგონეს ანუ წარმოითქჳა სიტყვები: პატიოსნება, სიმართლე, ჰსჯული, მართლმსაჯულება; სამსჯავრო. და იმ დროს, როდესაც ჩეხდენ ხეებს და აშენებდნენ ბაგებსა საქონლისათჳს, ფიქრობდნენ იმას, რომ რით დაურბილონ და შეუმსუქონ ტყუსალთა სულები, როგორ განანათლონ სწავლითა, გაათბონ ქრისტიანულის სიყვარულითა. იგინი საუბედუროდ, მრავალს ტყუსალებზედ საჭირო იყო მოკლეს დროში მოეხმარათ სასტიკი ზომა, რომ ამით როგორმე ეპყრათ იგინი შემდგომის გარდახდომილებისა ანუ ბოროტებისაგან, თჳთმის მეორეს დღესვე დასაჯეს რამდენიმე კაცი გალახვით. და შემდგომ ერთის თჳსა

შეიქნა საჭირო დასჯა მათი სიკჳდილისათჳს. საწყალი კაცი? რა აიძულებს ესე მრიელ იმას, რომ თჳთონ ხდება მიზეზი თავისი შეურაცხებისა და ტანჯვისა? ყოვლითურთ პატარაობითგან-ნვე არ უნდოდათ მათ გაეშვათ სხჳა და სხჳა ცუდი ჩვეულება, მერე უფრო და უფრო გამაგრდნენ ცუდს ხასიათში, და შემდგომ თუმცაღა სურდათ გამოსულიყვნენ დასაღუპავის ჩვეულებისა და საქმეთაგან, მაგრამ ისე ღრმათ დაინერგა მათში ცუდი ჩვეულება, რომ ველარ ჰველობდნენ იგინი თავსა თჳსსა და დაწყობილი ცუღლებითა, ჩხუბითა ამხანაგებთან, ძმებთა ანუ დებთან თავდება ხშირად ქურდობითა, ავაზაკობითა და ბოლოს სიკჳდილითა. გარდა მოსახლეობისა, ახალს გუბერნატორსა ჰქონდა ის ზმანებაცა, რომ იმ გვარივე კოლონია დაეფუძნებინა, რომლენ შესაძლო ყოფილიყო საჭიროთ, სხჳა ჭუა-ლავსა შინაცა ესე იგი ნოროფოლკსა დასავ-ლეთისაკენ ახალის ზელანდიისა ეს კუნძუ-ლი გამოაჩინა კუკმა 1777 წელში, და თავის აღწერაში სთქჳა, რომ იქ მიწა არის ნაყოფიერი, არის მრავალი საშენებელი ტყე კარგი წყლები, და თევზი სულ ხროვათ

გამოდის წყლის პირზედ. ყურისად იმა ჭალოვკისა დანიშნეს გამოცდანი კინგი.

თუმცალა ტუსაღებისათჳს ეს იყო ხელ-ახალი განდევნილება, მაგრამ თჳთქმის ყვე-ლამ თითონ ნებაყოფლობით გაცხადა სურ-ვილი იქ წასვლისა. მსურველი მოგროვდა თუთხმეტი კაცი ცხრა მამა კაცი, და ექუსი დედაკაცი; მათ გაჰყვეს: ფელდშერი, ოუნტერ-ოფიცერი, ორი სალდათი, ორი თავისუფალი მუშა, რომელნიცა იცოდნენ კარგათ შემუ-შავება კანაფისა. წაიღეს თან სარჩო ნახევარ-წლისა; ექჳსი თჳს შემდგომ იმედი ჰქონ-დათ მოეყვანათ საკუთარი მოსავალი, სათე-სათ წაიღეს მრავალი, და წაიღეს ყოველი მიწის სამუშაო იარაღი; საჭირო ხვნისა და თესვისა, რომელნიცა წარმატე-ბაზედ დამოკიდებული იყო მათი სიცოცხლე.

სიდნეაში ანუ პორტჯექსონში მუშაობა დუღდა, როგორც ჭინჭველებისა; ყოველს სურდა მალე დასახლებულიყო; მრავალნი ტუსაღთაგანნი აჩვენებდნენ დიდს ერთგუ-ლობასა, იქნება მისთჳს რომ პატიოსნის შრომით მოეპოვებინათ მათ თავისუფლება, პატივისცემა, და რაოდენიმე დამშჳდებინათ

შეხედრება ანუ შეგონება სინიდისისა და დაჯერებულებითა ის სჯული, რომელიც ხრავდა მათის შებღალულის სინიდისსა.

რასხენი ცხოველებისა, ფრინველი ხერხებისა, წალკევ წამოდგება დიდროვანის სამართველებისა, სხვა და სხვა გარკვეულებები, ხმიანობა, ჭექილი მეხებისა, წინ და უკან დაუცხრომელი სირბილი ანუ მოძრაობა ველურს ბუნებულში წარმოადგენდა საქმესა ისე ახალისა და დაუჯერებელისა, რომ თვითონ ანგლიელებს ეჩვენებოდათ ყოველივე ესე სიზმრად: გარნამედ სწარმოებდნენ შენობანი სხვა და სხვა რიგნი: აქ ქოხები, იქ ლაზარეთი, ზოგან ციხე, ზოგან ყაზარმა, ზოგან მაღაზია, ერთის სიტყვით შენდებოდა მთელი სახელმწიფო მცირე სახით, ამ გვარს მოძრაობას უნდა ეწარმოებინა სასიამოვნო მოქმედება; მაგრამ ზოგი იყვნენ დაღონებულნი, ზოგნი დაფიქრებულნი, ზოგნი დაღვრემილნი. არსად არ ისმოდა არც სიხარულის სიცილი, არც სიმღერა კეთილთა ამხანაგთა ანუ ამქართა თავისუფალის შრომისა, წინააღმდეგ ამისა ერთი შეხედვა მათი, ხმა ბორკილებისა, ჯაჭვებისა, სალდათთა.

ნი თოფიანნი, რომელნიც არც ერთს წამს არ მოშორდებოდნენ მუშებსა, ყოველსავე აძლევდა დალურჯებულის სახესა.

ამ გვარი მდგომარეობა უმეტეს მრავლოდებოდა სხუა და სხუა დაბრკოლებათაგან: ავათმყოფობა რიცხვსა თან და თან ემატებოდა. ატყდნენ ხშირი წვიმები, სარჩო, თუ წამლები დასველდნენ, წახდნენ; სნეულება ყოველ წამ შეიქმნებოდა უფრო და უფრო საშიშარი; რომ როგორმე დაეფარათ თავი სისველის და ნოტიოსაგან, იწყეს შენობა გალესილის ქოხებისა, რომელსაცა გარდახურავდნენ ხმელის ბალახით; მრავალთ ემინათ სველის მიწაზედ, და იყვნენ უიმედონი მალე შოვნაზედ ნავთ საყუდელისა, გაშრობაზედ და დაფარვაზედ თავისა ცუდის ტანისამოსისაგან. გუბერნატორმა უბძანა შეეწყებინათ შენობა ციხისა, რომელიც ყველაზედ მეტს შრომას ითხოვდა; მაგრამ ყოვლის მხრიდამ, იწყეს დრტვნვა. საფიქრო იყო ბუნტი, არეულობა, და თუმც ბუნტი ამტყდარიყო, მაშინ ტყუსალნი დახოცავდნენ ყველა აფიცრებსა და სალდათებსა. მაგრამ გუბერნატორი მოქმედებდა იმ შემთხვევაში

დაყოლოლავათ და კეთილგონიერებით, მოაგონებდა ხშირად ტყუსალებსა, რომ იმა პატიოსნებასა და შრომაზედ, ჰკიდია შემსუბუქება მათის მხვედრისა. თითონ დაესწრებოდა ყოველს მუშაობაზედ, აძლევდა რჩევასა, რა ადრე მოასწრონ და საიდამ რა გამოიღონ სარგებლობა. შემდგომ ექვსის კვირისა რაც ისინი წყლის პირს განვიდნენ, მრავალი მუშაობა დასრულდა.

ამ დროებში ანგლიელებს მალიან მცირე ჰქონდათ ახალ გოლანდიის მკვიდრებთან საქმე: მკვიდრნი, როგორც სჩანდა სრულიად არავითარს ვნებას არ უშვრებოდნენ თავიანთს დაუპატიჟებელს სტუმრებსა, რომელნიც იმათ ქვეყანაში განაგებდნენ, როგორც თავის სახლში, და ხან და ხან კიდეც შეელიდენ ისინი ანგლიელებს თევზის დაჭერაში. სხვა და სხვა უბრალო ევროპიულმა ნივთებმა, რომელნიც მათ აჩუქეს, უფრო მომატებულად დაახლოვეს ისინი მოსულით სტუმრებთან, მაგრამ მატროსებთ, რომელნიც უნდა დაბრუნებულ იყვნენ ანგლიაში უნდოდათ ეშოვათ რაიმე ნივთი, იმათი კუთვნილნი, რომელთაც გაყიდვას ვითარცა

იშვიათისა რისამე ფიქრობდენ ანგლიაში-მგზავრობასათ. ეს რომ ტუსაღებმა გაიგეს, დაუწყეს ზარგა მთაიულითა, ხან შელოცვისა, ხან ქვის დასხმის, მაშინ მთიულნიცა მზა იყვნენ მოეპყრათ რამე იმათთვის, აქედამ ხანდისხან მოხდებოდა ხოლმე იმათში ჩხუბი და კაცის კვლა. გუბერნატორმა მიიღო მრიელი ზომიერება წინააღმდეგ ამ უწესობისა აღკრძალვითა, ყურისგდებითა, სასჯელითა. თუ რომ ეს იმას არ ექმნა, იქნება მთიულნი ისე გაბოროტებულიყვნენ ანგლიჩანებზედ, რომ სრულიად ამოეხოცათ, ანუ ეწვალებინათ ისინი ხშირად მათზედ დაცემითა.

შემდგომ ჩვენის კვირისა მობრუნდა ხომალდი, რომელმაც წაასხა, მოსახლეები კუნძულსა ნორფოლკისასა. იქიდამ მოდიოდა მალიან კარგი ამბავი: კუნძული იყო მართლა ნაყოფიერი; იქ იდგნენ დიდროანნი ხეები. ჰაერი იყო მშვენიერი, და სანახავები დასანატრავნი; მაგრამ აქაც, ვითარცა სიდნეიში, აღმოჩნდა დიდი ნაკლულოვანება კაცებში, რომელთაც ჰსცოდნებოდათ მინდვრის მუშაობა: სამუშაოკი ბევრი იყო: არსად არ

იყო გატეხილი ადგილი: ყველგან იყო ტყე და მრავალი მცოცავი მცენარეში, რომლისაც სქელის ბადეში, დიდის სიძნელით, და ისიც არა ყოველგან შეეძლოთ გავლი-მეცსა. დაიწყეს ჩეხა ხეებისა: მაგრამ იმათი წვენი აღმოჩნდა ესრეთი ფიცხი, და მაწვნებელი, რომ რომელსაც თვალში შეესხმოდა ვისმეს, დაუწყებდა მრიელ ტკივილსა, ასე რომ იმის შემდგომ აღარ იყო შესაძლებელი მუშაობა რომელსამე დღესა. ეს მალიან აბრკოლებდა მათს მუშაობასა

როგორც მოჩეხდნენ ხოლომე ხეებსა, მაშინვე მიწას გადაბრუნებდნენ და დაიწყებდნენ თესვასა: მაგრამ იქ აღმოჩნდა ისეთი სიმრავლე თაგვებისა, რომ ისინი სჭამდენ ყოველს ნაწილსა დათესილის მარცვლისა. (რა კარგი იქნებოდა იქ იმ დროს მთელი კალათია კატებისა!) თევზების ჭერა არ აღმოჩნდა ისე ადვილი, როგორც ეგონათ და რისაც დიდი იმედი ქონდათ. ვინგი ფილიჰესავით საქმობდა მშვენიერად: მან სასტიკად აღუკრძალა ჩეხა ბზის ხეებისა, და გარდა კვირა დღისა, ერთი დღე კვირაში მისცა ყოველთა თავისუფლება გასაშენებლად თა-

ვისთჳს ბალღებისა. მაგრამ მაშინვე გამოაცხადა; რომ რომელიც იმათში ცუდათ მოიქცევა, მაშინვე წაართმევს ბალსა. ეს იყო ჭკვიანური და კეთილგონიერული ზომიერება, რომ ტყუსალებს ემუშავნათ ერთგულად, მოქცეული იყვნენ კარგათ, და მხიარულათ ეყურებინათ მომავალისათჳს. იმათში, ესე იგი ტყუსალებში, ამით გაჩნდა საკუთრება, კუთხე, ჩრდილი და ნაყოფი საკუთრად მათი კუთვნილი მხარესა მათის ტყუსალებისასა, მათთჳს დიდი სანუგეშო იყო, რომ ხე თავისად ეგულვებოდათ და საკუთრებათ ეწოდათ; მაშინ როდესაც იგინი რიგიანათ დასახლდებოდნენ და კარგათ დამკვიდრდებოდნენ, მმართებლობას აღარ ექმნებოდა ძველენი შრომა.

სიდნეაში გუბერნატორმა როდესაც მოიყვანა წესში საქმეები, მოინდომა გარემოებითად შეეტყო თჳსი ადგილი მამულის მართვა, აღმოჩნდა, რომ იგი იყო ძალიან ღარიბ მდგომარეობაში. როდესაც შეუდგა აღწერილობასა პირუტყვთა და შინაურთა ფრინველთა, აღმოჩნდა შემდგომი რიცხვ მათი: ერთი ყულაყი, სამი ჭაკი ცხენი, ორი

ხარი, ხუთი მროხა, ოცდაცხრა ცხვარი, ცხრამეტი დედალი თხა, სამოცდა თვრამეტი ღორი, ხუთი ბატი, ესე იგი თეთრი ყურდღელი, თვრამეტი ინდაური, ოცდაცხრა ბატი, ოცდათოთხმეტი იხვ. ეს ოცდაორი ქათამი და ოთხმოცდა მტრედი წიწილი. ეს აღწერილობა, რომელშიაც არ იყო დავიწყებული არც ერთი წიწილი, დიდათ ღირსი შესანიშნავია; ეს აჩვენებს პირველად, როგორი მნიშვნელობა ჰქონდა ახალთა მოსახლეთათვის თვითვეულისა ქათამსა და ცხოველსა და მერე, თუ ვითარის ღარიბის საშუალობით იწყო მოშენება ამა ველურმა მხარემ და დასასრულ, როგორ ჩქარა, როგორ კარგათ და როგორ ბევრი კეთდება საქმე, რომელსაც მას იწყებენ კაცნი ჭკვიანნი, განათლებულნი, შრომის მოყვარენი და პატიოსანნი. ეხლა მთიული აღმოსავლეთის კიდე ახლის ჰოლანდიისა წარმოადგენს მხარეს განათლებულისა და მდიდარისა: იქ ცხენებსა და და სხვა მსხვილს რქიანსა საქონელს სთვლიან ათასობით: აწ თვით უმშვენიერესი მატყლი იქაურის ცხვრისა ჰყოფნის ურიცხვსა ინგლისის ფაბრიკებსა და ყოველივე ესე აწარ-

მოცვა სწავლისა, დაყუდებულმა მეცადინეობამ და წინეთ დანახულობამ! აქედამ სჩანს, რომ გუბერნატორი ფილიპე უსაფუძვლოდ არა ხოვლიდა წიწილებსაც.

სამწუხაროდ მისა, შემდგომ რაოდენისამე დღისა იმის ადგილი მამულის მართვაში აღმოჩნდა შემდგომი დანაკლისი: ორი ცხვარი და ორი ზატკვანნი იყვნენ შეჭმულნი ნადირთაგან, ამის გარდა გაეპარათ ორი ხარი, და ოთხი ძროხა, ეს თვნიერ ხუმრობისა, ახალთ მოსახლეთათვის იყო დიდი დასაკლისი. სად იპოვნიდენ მაგიერსა? იმ ქვეყნებში არათუ ის ცხოველები არ იპოებოდა, არამედ არც ირმები, არც ცხენ ირემი და არც აქლემები, და ძროხებზედ უნდა კაცი წასულიყო ანუ ინდოეთში და ანუ აფრიკაში. ამასთანავე მოახლოვებულიყო ზამთარი; არ იცოდნენ რა ცვლილებანი შეიქნებოდა ბუნებაში, რა უნდა ექნათ, რით დაეფარათ თავი სიცივისა და ანუ ახლის სნეულებისაგანაც. მაგრამ საბედნიეროდ ზამთარი აღმოჩნდა არა ისეთი სასტიკი, როგორიც მოელოდნენ; ვარგმა ტაროსებმა დიდხანს გასწიეს, და ჭაური საზოგადოდ აღმოჩნდა მრთელი, თუმცა ავათ-

მყოფნი იყვნენ ბევრნი, მაგრამ არა ჭირისაგან, ზოგ ერთს გაუჩნდა სნეულება დიდ-ხნის ხმარებითგან მარილიანის საჭმელისა, სხვებს ანუ უწესო ცხოვრებისაგან და ანუ ზღვაში მოგზაურობისაგან.

უმთავრესი სიძნელე მდგომარეობდა მას შინა, რომ არა ჰყავდათ საკმაო კაცნი, საჭიროებნი ყურის საგდებლად ცხვრისათა, რომელთაცა თვალის მოშორება ძნელიყო, ამისთვის რომ მაშინვე ისინი ანუ წაიჩხუბებოდნენ, ანუ მოჰპარავდნენ ერთმანერთს რასმეს, ანუ წაახდენდნენ და ანუ დასწყვავდნენ რასმეს.

თვით დიდი სიძნელე სართველობასა შინა იყო ის, რომ გუბერნატორს არ მისცეს საკმაო კაცი ზედამხედველნი, არც მღვდელი, არც იმისი თანა კაცნი, რომელნიც ეყოლდნა ნივთები, ეგდო მისთვის ყური და ეძლია ანგარიში. ამას ყოველსავე აღსრულებდა გუბერნატორთან ერთი კაცი მართლიათ ჭკვიანი და შრომის მოყვარე, მაგრამ ერთი როგორ აღასრულებს ათას თანამდებობას. მაშინ ვერც ერთს ვერ აღასრულებს, როგორც რიგია, მაშინ ის

შევანება კაცსა მას, რომელიცა აიღებს რა ჴელში წიგნსა, გაიქცევა სამოვრის დასადგმელად; ჩასხამს რა სამოვარში წყალს, დაუწყებს ტანისამოსს წმენდასა, მაგრამ ერთის სახლის გაწმენდის შემდგომ გაიქცევა ბაზარში სანოვაგის საყიდლად, იყიდის რა მოხვდება, გაიქცევა სამსახურში და იქიდამ მორბის ისევ შინ, ჩაჰყრის რა სამოვარში ცეცხლს, მოაგონდება, რომ არ დაუსრულებია დილის ხნიდამ დაწყებული საქმეები; აიღებს კისტსა, მოუსვამს ორჯერ, სამჯერ, მერე მოიგონებს რომ უნდა წიგნი მისწეროს მეგობარსა, მერე შეუდგება ამის წერასა და თვითქმის ამ სახით აწყდებოდა ერთის საქმიდამ მეორეზედ ზედამხედველი სადგნის გუბერნატორისა. გუბერნატორმა მოინდომა როგორმე შეევსო ეს ნაკლულევანებანი და ზედამხედველობით დააყენა ზოგი ერთი ტუსაღნი: მაგრამ ზოგნი იმათგანნი აღმოჩნდნენ უნიჭონი, ზოგნი განგებ მოახლოვდნენ უწესობასა და ზოგნი გულის ხასიათით ჰსძულდათ მათ, ვისზედაც იყვნენ დადგენილნი. მაგრამ გუბერნატორმა როგორც იყო ზოგი მუქარით, ზოგი

ჯილდოეს აღთქმითა და აღერსით მოაყვანინა მათ ზოგიერთი საქმე წესში.

შეწოზვეჳი მეთდებოდა გვიან და ყუმარჯო-ნი; რადგანაც ყოველსავე აკეთებდნენ ხისასა და ხუროვდნენ ზღოჳხითა, ამისთჳს ხშირად იქ ჩნდებოდა ხოლომე ცეცხლი. ბოლოს შეიტყ-ვეს, რომ ტყუსადებში ყოფილა ერთი კარგი კოლოტოზი, რომელიმაც იცოდა აგურის გა-კეთება და გამოწვაცა, მაგრამ გულოვიცხე-ლობით. ანუ მოყვნდობლობით მალავდა იგი თავის ხელობასა, მაშინვე უბმანეს შესდგო-მოდა იგი საქმესა, მიაბარეს მას რაოდენიმე ბიცი ესწავლებინა ის ხელობა. აგურის მასწავლებელმა მაშინვე გააკეთა აგურხანა, მისი შეგირდნი მალე მისვდნენ იმ ძლვის ხელოვნებას და გააკეთეს ორკლეს დროში სავმაო რიცხვ აგურისა, მაგრამ დიდმა წვი-მებმა დააგდებს გარემემო სიდნეისა, აგუ-რები ისევ დაიშალენ, შეერთდენ თავის მშობლის მიწას და მიიღეს უწინდელი სახე. საჭიროა იყო მოთმინება და მოლოდება კარ-გის ტაროსებისა.

კარგი დედაკაცი საზოგადოდ კარგი მუ-შაა. შრომის მოყვარე და დაუღალავი, თვი-

ქმის კაცზედ მეტად, მაგრამ სიდნეაში არ იყო არც ერთი კარგი დედაკაცი, და ვინცკი იყვნენ, სულ ერთობრივ იყვნენ სასჯელად კოლონიისა; ისინი სრულიად არასფერს არ აკეთებდნენ, გაგზავნა შეიძლებოდა მხოლოდ სადაფის მოსაგროვებლად ზღვის პირებზედ, რომ იმ სადაფებისაგან გამოეწვათ კირი; მაგრამ იმასაც მცირედ აგროვებდნენ. ერთის სიტყვით მუშაობა იყო სუსტი, მაშინ როდესაც კარგათ და ერთგულად მუშაობა მათთვს იყო საჭირო და გამოსადეგი,

(გაგრძელება შემდეგ ნუმერში.)

## იკორთა (*).

(ქნეინა მარიამ ერისთავის ლექსებითგან.)

ტაძარო, ვრცელო, რავდენთ საუკნეთ ხარ დამსა-
ხველი;
რავდენთა სჳმკალთ უმკროვასესთ თჳს მძრის მცველი,
შენში ცხოველობს ქსნის ერისთავთ დროები ძველი,
მათი სიწმინდე და სიმდიდრე ნიჭი ყოველი!
მაგრამ ეგ შენი თვალთ საამო ძველ სახეობა,
და აწინდელი საგალალო მდგომარეობა,
წასრულთა დროთა მოგონება სიზრმეზრ მსვლელობა,
აღმავსებს ჭმუნვით და მაკლდება სულის მხნეობა.
რომლით, ტაძარო შენი ჭვრეტა შენი ყურება,

---

(*) დიდად მადლობს რედაქცია ერისთავის ასულს ეკატე-რინას, ამ ხსენებულის ლექსის წარმოგზავნისათჳს და იმედოვნებს რაც რამ დაშთენია განსვენებულს კნ. მარიამ ერისთავისას, იმასაც წარმოგზავნის დასაბეჭდავად. რედ.

თუმც თვალთა ჩემთა განუწყვეტლად არ მოსწყინდება,
მაგრამ რას გვედავ? აწ დარღვევა გვემუქარება,
და მისთჳს ნისლი მწუხარების არა მშორდება.
თუმც დრომან თჳსის ჩვეულებით გყო მიძველებულ,
გარნა შენ იმა კოლოვნებით ქმნილხარ აღგებულ,
იმ სიმმეტრიით და ჩუქურთმით დანაკვეთებულ,
რომ ნაქცევნიცა იქმნებიან შემდგომში ქებულ.
მაინც ტაძარო მაგა შენსა სახეს დიდებულს,
იოანნესგან მკველად შემკულს და განახლებულს,
ივერთ ერისთავთ, ერისთავად გვარ სახელდებულს,
ნგრეულთა შენთა ნაშთთა ზედან ჰყოფ გარდალებულს.
მაინც იქნების მხილველთაგან მწარ დაცრემლილი,
შენთა დახავსილთ ქვათა ზედან კვლავ დამთენილი,
სახელი ეგე წარსაკითხად გამოწერილი,
რომლისაც მცველი შენს კალთებში არს მოფენილი.
მათგან მრავალნი შენებრ სხვანიც აღშენებულან,
სახელოვანის მამაცობით რის შვამკობულან,
დიდებისათჳს მამულისა მრავლად ცნებულან,
და ერთ მეორეთ თჳსთა ზედან მით სხვავებულან.
შენში ტაძარო ვითა მეგლის აღმართულება
სად წარიკითხვის მათ მამაცთა დიდებულება,

რომელთ გენიის ელვარებდა დაცვრთულება,
და ბუნებისგან ჩამოსხივით ნიჭებულება.
ესრეთ სჩანს მუნში თჳთოეულნი მათნი სახენი,
რომელთ მსგავსებას ძლივ შეადგენს საუკუნენი,
გონება ვრცელნი აღსარიცხნი ვით ფენომენნი,
უზრუველოდა მქცევნი სიბრძნის სხივის მზეებრ გამფენნი.
ცნობილან ყოველგან გოლიათად იმავ დაწყებით,
სახით მშვენიერ მიმზიდველნი მორთჳ მადგმულებით,
არვინ მობილა მათს დროებში მათის მსგავსებით
უდიდებია თჳთ განგებას ამ განსხვავებით.
ყოფილან ჩერქეზთ მეფეთ შჳლნი მეგლად მოსულნი,
მეფეთა შემწე და კეისართ მარად ერთგულნი,
მათ ხმლით დაეცვათ წმინდა სჯული და თჳს მამულნი,
აქ მდინარებენ მათის სისხლის ის ნაკადულნი.
მათგან მორწყულნი მათნი მცენარნი აწცა ჰყვავიან,
საყნოსად თჳსთა შთამომავალთ სუნნელთა ფშვან,
მათ განმაცხოვლად აღფრინვებით ჰაერთ ერთვიან,
ყოველად მათი კეთილობა მით გარდეთსმიან.
მათთა მუსკულთა მათი სისხლი სძგერს განწმენდილი,

და მით აქუსთ სულის ეს სიმაღლე გარდმოფენილი,
ამით მნათობენ და სიბნელე აქუსთ გადევნილი,
არის აწცა დიდებულად აღმოჩენილი.
ცამარო! შენში ჩაწყობილნიც გვითხრობენ ქუანი,
რომ იყვნენ ჩუენნი წინაპარნი მცაცე მოსავნი,
და შენთა ამა იაცაკთა თვალით მნახავნი,
ჭსცნობენ აქ ბრწყინვენ მოწამენი ქსნის ერისთავნი.
ვით ორნი მზენი ცის სამყაროს სხივ მთებარენი,
მეგრეთა კრთიან და ანთიან აქ მდებარენი,
მალვა, ელისბარ, მისთვს ერთად მოელვარენი,
განჭვინონ მადლი განანათლიონ იმერთა მხარენი.
ან ვითა რაცონი ედემს რგულნი მშვენიერებით,
ვარდებ მილილობენ, ყვავილობენ ყოვლის დიდებით,
მსგავსად მეუფის მოყვასთათჳს სულის დადებით,
გურნების ნეკტარით ჩუენდა მომართ აღმოდინებით.
შესამეც მათთან არს ბიბინა აქა მწოლარე,
იაკობისებრ აღკუწვილი ნათელ მკრთოლვარე,
გვერდსა ლახვრითა განლებული სისხლ მომჩქე-
ფარე,
მიაროს უხვებით ჩუენდა მომართ აღმომდინარე.
მრავლობენ ღვაწლნი ვით ვარსკვლავნი მნელ
აღსაწერად,
მათ სისხლთა წვეთნი ციმციმებენ შენს აღმოსა-
ფერად,

ელვენ, ნათობენ, ირისობენ სხუა და სხუა ფერად,
რომლისა სრულის ცრფიალებით მოვსულვარ მზერად.

მათდამი ჩემი გამოსაცვა ესრეთ მფრინვალებს,
დიდების საყდარს თითქოს ვხედავ მათ წარდგომილებს,
ანგელოზთ ფრთითა მიცანილებს მათსა გვრგვნებს,
მეოხად ჩუჱნდა სამთავ ერთად ჴელ გაპყრობილებს.

გჭვრეტ შენ ცამარო ვით მორეს ცად მეცვალებულს,
გრძნობათა ჩუმთა შენ ამით ჭურეტ ან მიცაცებულს,
სამთა დიდ მზეთა თვალით უჩვენებ ალმობრწყინვებულს
და სხუათ ვით ვარსკვლავთ მანათობლად აქ ჩარიგებულს.

ნუ თუ ჩემის სიცოცხლისაც მზედ ალმოსული,
შენ მოიზიდე აქ ცამარო და ჭუავ დასული?
რომლისგან მქონდა ცხოველობა, სიცვო და სული,
რომლის მოკლებას მის უბედო მოსთქვამს ასული.

ნუ თუ სრულიად ცხოვრებისგან მე'ვ განსვებულად,
და მისსა მჭვრეცას საუკუნოდ მე'ვ მოკლებულად!
და შენცა მისთჳს იხილვები ნისლ მოდებულად,

რომ ჩუენ საკვდავად იგიც აქ ჭყავ დამიწებულად!
თვალნო! რას უმზერთ? სავალალოდ თქუენ ამა მხარეს,
რად ამა ლოდთა უწინარეს მე არ დამფარეს,
ვინემ მშობლისას ვიხილავდი მე აქ სამარეს,
და ვინემ გული გამოსცდიდა ესრეთს სიმწარეს.
ვაჲ, ვით გსჭვრეტდე მშობლისა ძლით გულზე დაწყობას,
რომლით ველოდი საუკუნოდ ჩუენ მფარველობას,
რად გვყავ ჩვეულნი შენ მამობრივს ტკბილს ალერსობას,
თუ ესრედ შენვე შეგვმოსვედი მწარეს ობლობას.
რად არ გვცემ სიცოცხლის შენ გარემო აქა მდგომარეთ,
შენსა უბედოთ საფლავთ ასულთ გულით მკვნესარეთ,
უნუგეშოსა, გვებითა მომაქმედთა მწარეთ,
შენსა საფლავზედ დამხობილთა ბაგეთ მწოწოლარეთ.
ვაჲ, თჳთცა არს მოისმენებით ჩუენისა მქუსარი,
ველარ განვაფრისხოთ რა გინდ ღვართა ცრემლი მდუღარი,
ველარც ისმინოთ მისი ტკბილი ბრძნული საუბარი,
თქუენ დასამხობლად საუკუნოდ იქმნა მდუმარი
ჵ გვირგვინო და დიდებავ შენის სახლობის,
სად მიგეფარე მაგალითო კაცობრიობის,

საცა ჯე მსგავსი შენის წმინდის მიამომავლობის,
რად დახშე ტკბილი ეგ წიაღი შემოჰკრობს.
ამაოდ თვალთა ცრემლთ ნაკადნი გარდმოსკდე-
ბიან,

უბრალოდ ჩემს გულს ვითა ნამი ეკურნებიან,
ჩემი კი ცეცხლი დაგზნებული მაშინ ჰქრებიან,
როს მის სავლავთა გროვა მწვერით დამეყრებიან.

---

## წიგნი ჩემს მეგობართან.

ვიცი იკითხავ ჩემს ამბავს, ყოველ ჟამს
მომდის ფიქრება,
რა მიგონდება კეკლუცი, გულსაც მე ცეცხლი
მედება,
როგორც მიამბე, ისე არს, ისეგრეც აქვს გარდამეცვლება,
მათის უცხობის გულწყლულს, წამალიც აღარ მედება.
მახსოვს იგიცა, რაც იყო, ჩვენ შორის მას-
ზედ თქმულობა,
თუმცა აქებდი, არ ვიცი ჯერ მათი მართებულობა,
სახით მზეჭვრეტნა დილის მზეთ, მამაც გულითა წყლუ-
ლობა,
სიცევის ვერგაძღებ, რომ გქონ, მითაცვანთ აგებულობა.
ნარნარის ქცევით ცან რწევით, კარის წამოდგეალისა,

ახლად მლილს ვარდსა გამსგავსე და აპრილისა იასა,
ცვართა ყოლისა სპეტაკი, ვარდა თეთრს მაცერისა,
ლაჟვარდის ფერი ვარს ერცყუ, ბაგლუცს წელს
ლელწამიანსა.

იაგუნდი ვულს უმგვნდნენ, ბრილიანცნი ბუდე-
მურთა,
მარგალიტნი მეზავებით, ზედ ეყარნენ ბროწეულთა,
მხოლოდ აკლდა თავს გვირგვინი, რაცა ქსდემით
ჩინებულთა,
ამა იქმასა მსხვერპლისა მეგქსმლევნი, ბანოვანს და
ღირსეულთა.

თმა მშვენიერათ დაწნული, ზილფნი ღაწვთ
მამშვენებელნი,
და ღაწვნი ლალებრ მღელვარე, გონება წარმტაცებელნი,
რომ ვნახე მზესთან სადარო, სულისა ამომღებელი.
ვჰსთქვ, რომ მეფა არს მნათობთა, მიჯნურთა
მაცოცხლებელი.
ბრწყინვალისა ქება უწინ, ვჰგონებ, არსად არათქმულა,
სიყვარულის მალმან შემკრა და სიცოცხლე მომაძულა,
ჩრდილმან მისმან წინ მდგომელმან, დამშხამა და
დამაწყლულა,
მათის მჭირის სანაცვლოთა, ჩემებრ სხუავინ დადაგულა.

თ. გიორგი თუმანოვი.

ჩყზ—სა წელსა, აგვისტოს კგ. დღეს. ს. უწერას.

განხილვა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურისა.

(განგრძელება)

ქარტათა მოჰყვებიან ისტორიულნი თხზულებანი, რომელთა თავსა ჰსდგანან ცხოვრებნის აღწერანი წმინდათა და მოწამეთა საქართველოჲსა, უმეტეს წილი თანამედროვეთა თავადთა, სამღვდელოთა, დარბაისელთა, დადგენილთა მათის ხარისხით და საკუთარითა თჳსებითა უმაღლესს საზოგადოებისა. სათანადო არს წარკითხვა ყოველთა მშვენიერთა ამათ მოთხრობათა, რომელთაგან ზოგნი ნაწერ არიან უწინარეს რვისა საუკუნისა, რათა ვიცოდეთ ჭეშმარიტი მათი ისტორიული ჩინებულება, იგინი უმეტეს ნაწილი თანამედროვენი არიან მოქმედებათა, რომელ-

ნიცა აღიწერებიან მათ შინა, არიან ნაწერნი წარჩინებულთა მთხზველთაგან ყოველისა სიმართლითა და პირ-უთნებელი და სავსენი სასარგებლოთა ამბავებითა.

ხოლო რაჲცა შეეხება თხზულებათა, მიმღვნილთა სამოქალაქო ისტორიისადმი, ჩჳენ-ნადმდე მოაღწია, უბედურებისაგამო, მხოლოდ, ერთმა სახელდობრ, ფრიად მოკლემ მატიანემ პატრიარხის მიხაილისა, რომელიცა სცხოვრებდა მეშჳდესა საუკუნესა (17) გარდა ამის ჩჳენ გვაქუს სამი გამონაწერობა, რო-

17 არს ვრცელი საქართველოს ისტორია ქათალიკოზის მიხაილისა, რომელიცა სცხოვრებდა ჟამსა წმინდის მოწამისა არჩილის მეფისა და მპყრობელისა სრულისა იბერიისა, შემდგომის ფრიად მოკლის მოთხრობისაგან პირველთა ჟამთათჳს საქართველოჲსა, შეიცავს წესსა ცხებისასა ზეთითა მირონ მეფისა, რომელიცა აღსრულდა სობოროსა შინა მცხეთისა — სატახტოსა ქალაქსა საქართველოჲსასა და განმარტებისა თანამდებობათა მღჳდელთა, ვითარცა ამ შემთხვევაში, აგრეთვე მირონცხებისასა მეფეთა. აწ წიგნიდან ჰსჩანს თუ რა ადგილი ეჭირა მაშინ საქართველოსში

მელოთაგან ერთი ენახა ჩქნთ წელსა იერუსალიმის პატრიარხს დოსითეოზს ჟამსა მოგზაურობისასა სამეგრელოს და ქელემმღვანა იგი და კიდეც მისგან გამოკრებილება: ნაჩეული დოსითეოზისაგან გამონაწერობა არის დაწერილი მეფისაგან ბაგრატ III სა რომელიცა მეფობდა დასასრულს მეათისა საუკუნისა და შეიცავს ისტორიასა მეფეთა აფხაზეთისა. მეორე გამონაწერობა წოდებით საულ-დავითიანი ანუ ისტორია ბაგრატიონთა არის ტფილისს; ჩუენ დაგვპირდნენ მისსა გამოგზავნასა ნამდვილისასა ანუ პირისა მისისასა. საულ-დავითიანი ირიცხება უმეტესად ვახტანგის ისტორიაზედ, როგორც მესამე გამონაწერობა, წოდებული წიგნად ქართულისა ცხოვრებისათჳს, რომელიცა რაოდენსამე წელს ამას უწინარეს იყო ბიბლიო-

---

ყოველის, სახელოვანის ნარჩინებულის, ყოველის თავადის და ყოველის სამსახურში მყოფის. თჳსის სიძველის მიხედვით წიგნი ესე არის მესამე სახსოვარი საქართველოს ლიტერატურისა; ხოლო მეორე არის თარგმანი ლექსითა წმინდის გრიგოლისა ჰელცრჳისაგან მისა მეფისა ვარაზ ბაქარისა. რედ.

ტყვასა შინა თავადის ციციშვილისა. თუ რომე გავსინჯამთ: რა გვარის ცვლილებით არის ნაწერი საეკლესიო ისტორია საქართველოისა; თუ რომე მოვიგონებთ ძველთა მატიანეთა, რომელნიც ხშირად იხსენებიან ცხოვრების აღწერასა შინა, წმინდათა მამათა; თუ რომე აღვწონთ სიტყვათა მეფის ვახტანგისასა და დასასრული ვიტყვით, რომე მას არაოდეს შეეძლო დაწერა თავისის წიგნისა უქონლად ძველთა დასაბამთა, მაშინ არა შესაძლო არს არ ვიფიქროთ, რომელ საქართველოსა შინა კიდევლა არიან დოკუმეტნი, უცნობელნი ჯერეთ ევროპიისაგან. უეჭოდ, რომელ რუსეთისა წინაუმეტეს აღმოჩენა მათი.

უკანასკნელსა საუკუნესა ორნი ადგილობრივნი ავტორნი ჰპატიოსნათ მუშაკობდნენ ისტორიის წერისათვს თვსის სამშობლო ქვეყნისა: მეფე ვახტანგ მეექვსე, და ძე მისი ვახუშტ. პირველმან აღწერა იგი დასაწყისიდგან საქართველოს ერისა ვიდრე ვახტანგისამდე მისა დიმიტრი ერთგულისა, რომელიც მეფობდა **1301** წლიდან ვიდრე **1368** წლამდე. შესაძლოა ვჰყვედრიდეთ

ავტორსა მხოლოდ მას, რომელი არაოდეს არ მოიხსენებს იგი თვისსა თხზულებაში დასაბამთა, დასტკურთამს მოქმედთა პირთა წვლილიადითა მოთხრობითა და რაოდცა ამაზედ უმეტესია—აღწერის წილი მარტივთა მოქმედებათა, ხშირად განუშორებს თჳსსა საგანსა. გარდა ამისა მისი წელთ მრიცხველობა ხშირ არა_არს სწორი და თჳთქმის ყოველთჳს გაუგებელი და ურიგო. გარნა მეფე ვახტანგმა პირველმან სცადა რიგში მოყვანა ხაოსისა საქართველოს ისტორიისა: ესეც საკმაოა მისი სახელოვნებისა და გამართლებისათჳს.—

ვახუშტსა, რომელმანცა გადაწერა და შეამოკლა ისტორია, დაწერილი მისის მამისაგან, აქუს უმეტესი შეუსადარელი წესიერება. მან განაყუქმა ყოველნი მეტ-მეტნოლექსნი, შეამოკლა მოთხრობანი, შეჰკრიბა წელთ რიგზედ ყოველნი მოქმედებანი და აღნიშნა თვითოეული მოქმედება ნამდვილის მისის რიცხვით. ხოლო რაოდცა შეეხება მისსა ისტორიასა ახალთა ჟამთა, იგი სჩანს მასშინა კარამზინათ თჳსისა ერისა. გარნა არა ცნობილ არს: რასაზედა დააფუძნა მან

თჳსი წყლი მრიცხველობა; თჳთ აღნიშვნა მისგან რიცხვთა აღგვიმრავს ვიეთსამე მიუნ-დობლობასა, რომელიცა ხშირ მართლდება არა სისწორითა სინხრონიზმთა (ერთ-დროულ-ლითა შემთხვევათა); ამასთანავე შემოკლებულ-ლის თხზულებისასა თავის მამისა, მას გამო-ურიცხამს მრავალნი მოქმედებანი და პირნი ღირსნი პატივისცემისა — ხოლო რაჲცა აძ-ლევს მას უძლეველისა უპირატესობასა და დაადგენს მას თავს სხჳათა ქართველთა მწე-რალთა შორის ეს უნდა მიეწეროს მისსა შესავალსა ისტორიისასა, მისსა გეო-გრაფიულსა აღწერასა სათავადოთა, რომელ-ნიცა შეადგენენ საქართველოს სამეფოსა, მისსა ნიჭსა გამოძიებისასა; რომელნიცა წინუმძღოლნი მას გარკვევისათჳს დასაბამთა ისტორიისა თჳსისა ერისა და დასასრული მის-სა ისტორიულსა განხილვასა ექჳსთა უკანა-სკნელთა საუკუნეთა თამარ დედოფლის გარ-დაცვალების შემდეგ და მისსა წელთა აღრი-ცხვისა ტაბლიცათა. ქართველთა აქჳსთ სრუ-ლი რწმუნება მოთხრობათადმი ამა მამისა მათის ისტორიისა და ვიდრე ამბობენ, რომე მან გარდასთვალა ქჳანიცა მათის მამულისა

და აღნიშნათ ადგილი თვითოეულისა ქვისა, კარტანი (ქვეყანათა, მდინარეთა და ზღვათა მდებარეობისანი), ზედ დართულნი მშვენიერისა ამისა თხზულებისათანა, არა მცირედ განამშვენებენ მას: ნახაზნი წულილეულითა სისწორითა თვით ავტორისაგან, იგინი გვასწავებენ ჩუენ უმეტეს ვრცელითა განსჯათაზედა ძველისა მდგომარეობისათვის საქართველოისა, ყოველობასა ქვეშე სხვათა და სხვათა მეფეთა მთამომავლობათა, და მე ვუმზერ, ვითარცა საუნჯესა, მობოძებულისა აკადემიისაგან კოპიისა ამ მშვენიერის ატლასისასა, გადმოღებულისა ნამდვილიდგან მზმანებლობითა იმერეთისათა დედოფლისა ანნასი, მეუღლისა კნიაზის დავითისა — მისა სოლომონ პირველისა. 18)

---

18) რა ვნახეთ მრავალთა სასულთა, უმეტეს წილ მეტთა, რომელთაცა აღსავსე არიან ქარტანი ვახუშტისი, მაშინ არა შევსძლეთ არ დაგვეჯერებინა, რომელ საქართველო იყო და მრავალკაცოვანი — იგი აწ უფრო სავსე, ვითარცა ესეთა (1.500,000 მცხოვრებნი) და ამით ცხად არს აღორძინებული ყოველთა ქვეყანათა ამათ მისა

ჩუენებათა ამათ შორის არს დაუმატებით დღე-ვანადმდე საზოგადონი, ანუ საკუთარნი კერძობითნი ხრონიკანი (მატიანენი); უბედურებისაგამო ჩუენ გვაქუს ფრიად ცოტა ამ გვარნი წიგნნი: ერთი ეკზემპლიარი ვახტანგის ისტორიისა, რომელიცა ინახების რუმიანცოვის მუზეუმში; ისტორია უკანასკნელითა საუკუნეთა სეხნია ჩხეიძისა და პაპუნა ორბელიანისა,—ესენი ძრიან ჩუენნი საუნჯენი; გარნა სწრაფლ განმრავლდებიან იგი; მათ მიემატების სია ვახუშტისა, დაწყებული ზმანებითა გამოცდილისა და დაუღალავისა ორიენტალისტისა, რომელიცა დიდ სახელოვანად განაგებს აზიურსა მუზეუმსა და მალოგვცემს გაბედვით ვიმედოვნებდეთ, რომელ მოვლიეს ჟამსა ყოველნი მჭრევასიერებანი საქართველოს ლიტერატურისა წარმოსჩნდებიან ჩუენთა შეკრებათა შორის თხზულებათა.

გარნა თჳთ ხსენებულნი დასაბამნიცა, რომ არ ყოფილიყვნენ საკმაონი ჩუენთჳს,—ისტორია საქართველოჲსა დაწერილი არს

ქუათა ზედა ძეგლითა მისთა — ყოველნი ძველესიანი, მოხსენებულნი ვახუშტისაგან და მქონებელნი წოდებათა მათთა აღმაშენე-ბელთა, ყოველნი მონასტერნი, სიმრა-ვლე ციხეთა, მეფეთა ტაძრეულნი, რომელნი-ცა ჯერეთ არავის განუხილავს აქამომდე და რომელნიცა არა ქცეულ არიან ჯერ სრულ, ყოველნი ესენი გვიამბობენ ჩუენ თჳსთა ძველითა ცხოვრებათა. ოდესცა ევროპას ექმ-ნება თვალთ-წინ მშვენიერნი ზედ წარწე-რილობანი ქუათისა, გელათისა, ხონისა და ათენისანი, მაშინ იგულისხმებს იგი, რომე ქართველნი ყოფილან თანაზიარნი განათ-ლებისა, მაშინ სცნობს რომე არა მხოლოდ ესენი ქუათაზედა წარწერილობანი ნახმარენ ყოფილან თემსა შინა, სადაცა იგინი ესოდენ მრავალნი არიან.

თუ რომე ჩუენ შეგვემთხვევა დავსწეროთ ოდესმე სრული ისტორია საქართველოსი და შთავრიცხოთ მას შინა მეფენიცა ჟამნი აღწერილნი ვახტანგისაგან და გარჩეულნი მისის სიძისაგან და აღსავსე ვჰყოთ ყოველნი ეს ზედწარწერილობითა ძეგლთაგან და ყო-ვლითა ჩუენებითა, მოკრებილითა ყუელთაგან

და ნასარგებლითა ესოდენ მრავალთა მოხუზველი-თაგან, მაშინ შესაძლო იქნება გამოვსცეთ სრულიცა შეკრება მატიანეთა, რომელნიცა შეუთანასწორდების უმდიდრესთა ამგვართა შეკრებათა სხჳათა აზიის ხალხთა.

გარნა რათამცა მოვიპოვოთ ისტორიული სიმართლის მსგავსება, არა საკმაო არიან ამისთჳს საყრონი დასაბამნი, ხშირ გადასხვა-ებულნი უცოდინარობითა, ანუ ურთიერთი-სა მტერობითა პატივითა — ანუ მობაასეთა ტყუილითა; აქა სტადიონი ჩუენი განიმატებს.

აწცა სცხოვრებს ერი — მეზობლათ საქარ-თველოჲსა და ძველის დროს თანასწორი მი-სი, შთამომავალი ერთისა წინაპარისაგან, მოქცეული ქრისტიანობასა შინა ერთს დროს მისთანა და მექონი დიდხანს ერთისა და იგივესავე ეკკლესიერთა წესთა, — ერი, რომლისა ლიტერატურა აგრეთვე წარმო-ჩენილ და ნაყოფიერ იყო ქრისტიანობისაგან; მე ვუბნობ არმენიისათჳს. (სომეხთათჳს).

თუ რომე გიყვარსთ განქიქება, რომელ-საც აქჳს საგნად ესოდენი. ღირს საცოდნე-ლი ისტორია, თქჳენ ჰპოვებთ არმენიანსა შინა სრულსა შეკრებილებასა მოხუზველთა

ყოველთა საუკუნეთა, ყოველთა გჳარითა წერილით მოსყუზველობისასა, აკტორთა, რომელნიცა ხშირად წარმოადგენდნენ ფრიად სამწელოსა როლისა, დრამასა შინა, 19) რომელნიცა აღიწერებიან: კავსტისა ვიზანტიელისაგან, ალაფანგელისასა, გორიუნისა, მმმისა მოსეისა, ლჟოის მოშიშის ელისეისა, ჩინებულის ლაზარისა, ჭკვერ_სიტყუელის პატრიარხის იოანესი, მათე ედესელისა, ვართანისა და ვაგრამისაგან და მრავალთა სხუათაგან არა უმცირესად ღირსთა ქებისა. ნუმცა ივიქრებთ, რომელ წიგნი ესენი შემოკლებულიყვნენ მხოლოდ აღწერითა ერთისა რომლისამე თემისა, რომლისა სახელი აღარ შვვე სუვევს. ისტორია სომხისა ერისა შეადგენს ყალრესს წილს აზიის ისტორიისასა, არცა სპარსეთი დროსა მეყუეებისა არსაკიდთა, არცა საბერძნეთი მეორეს ვასილის და მისთა მემკვიდრეთა დროს, არცა თავს_დასხმანი სელჯუკიდთა, არცა ჯუარით ლაშქრობა 20)

---

**19**) დრამა არის სათეატრო თხზულება. რედ.

**20**) ლაშქრობა ესე იყო დაბოლოებიდგან მეთერთმეტისა საუკუნისა გასვლადმდე მეთორმე-

არცა მონგოლთა მეცამეტისა საუკუნისა **21**) არც ერთი ხსენებულთა შემთხვევათაგანი **22**) რომელთა შორის სომხისა ერი აღასრულე-ბდა დიდ ძნელისა როლსა, (თჳთ მოქმედებს), არ შევჳძლიან ვიცოდეთ სისრულით და და-ვაფასოთ უცნობლთა სომეხთა მთხზველნი. ამისთჳს რაგვარ კარგათ უსარგებლოა სახე-ლოვანს სენ-მარტენს **23**) საუნჯეითა მათითა

ტისა საუკუნისა და ლაშქრობდნენ ევროპიისა და-სავლეთის მხარის ქრისტიანენი გამოსახსნელად წმინდათა ადგილთა ურწმუნოთაგან, — და მოლა-შქრეთა ქრისტიანეთა ეკიდად ნიშნად გულზედ ჯუარი. რედ.

**21**) მონგოლთა მეცამეტისა საუკუნისა მეფო-ბასა თეიმურაზისასა — ვინა თამერლანისასა ეწყურათ არმენია **1587** წელ. და საქართველო **1395** წელს. რედ

**23**) ამ ცნობისათჳს, განსაკუთრებით, ისტორიის საქართველოისა მდიდარის მოქმედებისა აღწერით ქართველთა მათხზველთა, მხოლოდ ეს ვჰხედავ რომ აღვწეროთ, მაშინაც ღირს იქნებოდნენ ჩი-ნებულის სახელისა აზიის ლიტერატურისა შინა. რ.

**23**) სენ-მარტენი იყო ფრანციზელი მწერა-

და რა კარგი გამოკრება მათგან უქმნია მას, რომელი თჳსისა საკჳრველისა სწავლულობითა ჰყრობდა ყოველთა აზიისა სინქრონიზმთა (შემთხვევულებათა) რომელსაცა დიდის მეცადინეობითა განარჩევდა, და რომელი ადრე მოგვტაცა, სიკჳდილმან სტადიონიდან აღმოსავლეთის სიტყვიერებითის სწავლისა! ყოველნი ხსენებულნი ავტორნი, ყოველნი გუარნი თხზულებანი შეკრებილ არიან ვრცელსა თხზულებასაშინა ჩამჩიანისასა, რომელიცა შეიცავს ისტორიასა არმენიისასა დასასრულადმდე უკანასკნელის საუკუნისა, თუმცაღა კრიტიკასა არა მარადის შეუმლიად ერწმუნოს მათ, დამტკიცებათა; თუმცა წესი მისის წერისა ფრიად სადაა ამ გუარის ჰოემისათჳს; გარნა არა მამხედველთა ამისა, ჯერ არს მივაგოთ სიმართლე მისსა სჳნიდისიანსა მართლმოყუარებასა, მისსა ვრცელსა სწავლულებასა და ვჰყოთ იგი ერთ ფრიად შესანიშნავთა ისტორიკოსთაგანთა შორის აზიისა.

---

ლი, დიდი მცოდნე აღმოსავლეთის ენათა და მუშაკობდა უფროს სომეხთა ლიტერატურისათჳს. რო

გეოგრაფია არა უმცირეს იყო შემუშა-ვებული სომეხთა მსწავლეულთაგან, საკუ-თრივ გეოგრაფიამ არმენიისა მოსცა მიზეზი რა ინდჟიჯს, დაწერისა ორთა შესანიშნავთა თხზულებათა, გამოცემულთა წოდებათა ქვეშე: «ახალი არმენია» და «ძუელი არმენია» მეორე თხზულება გულის დაწერილიყო მას ნამუშავართაგან სენ-მარტენისა. მხოლოდ ესეცა არის არა მცირედი ნიშანი სახელო-ვნებისა ფრანგსიზელის მსწავლეულისა. დასა-სრულ თხზულება, წოდებული: «სიძველე-ნი არმენიისა» დაბოლოებენ არმენიისა ის-ტორიულს ლიტერატურასა.

ვისაც სურს შეავსოს მონათხრობანი ქარ-თველთა მწერალთაგან, მან უპირველესად ყოვლისა უნდა განისწავლოს სომეხთა ლი-ტერატურა. არა არს არცა ერთი სომეხთა ისტორიკოსი, რომელსაცა არა შეეძლოს არ მოუმატოს უმრავლესნი გვერდნი საქარ-თველოსა ისტორიისა. მოსე, ლაზარე, იოა-ნე ქათალიკოსი, მათე ედესელი, არაქელი, მოჰყვენენ ფრიადსა სხვასა სინათლესა ის-ტორიულთა შემთხვევულებათა თჳსთა მეზო-ბელთა: ამიტომ. რომ ორთავე ერთა ამათ

ჰქონიათ ერთგვარი მხედრი, და მათსა ისტო-რიასა უდენია ჴელით-გადაზმული. და აწ-ცა კეთილად ვპოვებთ ჩუენ ერთსა უხვთა აღმო-ნაჩენთაგანსა, რომელითა-ცა ვართ ჩუენ დავა-ლებულნი სენმარტენისაგან და, რომელნიცა განმარტებული არიან მისთა ზაპისკათა შინა. **24**),

---

**24**) პირველი წინადადება აღმოსაჩენად მათ-გან, რომელნიცა შეუძლებენ ცნობისათვს არმენიისა, უნდა იყოს მსგავსება ორთა ენათა შორის ქართუ-ლისა და სომხურისა უწყებულ ვართ ფიქრის, რო-მელ ორნი ესენი მეზობელნი ერნი, რომელთა თჳთქმის ყოველთვის ერთად შემოგვევერებიან ის-ტორიისა შინა, მახლობელ არიან აგრეთვე ენები-თაცა ძჳლთა არცა მცირედი მსგავსება ორთა ამათ ენათა თვალთა წინა გვითარებულისა ფილო-ლოღიისა შორის სრულის ერთ-გუარობისაგან შემდარებელი მათი ურთი ერთისა, ჰპოვებს მეტის მეტთა განსხვავებითა მათ ლექსით თხზულებასა შინა, იმჳათ ვითარცა მსგავსებასა გრამმატიკულთა ფორ-მათა შინა, სიტყვათა შინა, რომელიცა ეთჳსების შთამომავლობასა მრავალისა მათგანსა, ვითარცა ინდო — გერმანიულისა: ეს არის სრული შედგინება. გარნა

მოყუატეთ ყოველთა ამას მატიანენი არაბულნი, ოსმალოურნი და სპარსულნი, აგრეთვე მატიანენი ვიზანტიურნი, განჩხრეკილნი ყვ-ვე სტრიტერისაგან და გამომცემელთაგან ლებოს ისტორიისა და მაშინ გექმნებათ თქუენ ფრიად ვრცელი პროგრამა საქართველოს ისტორიისათვს შესაძლებელი შეგვექმნას ჩუენ მისი აღსრულება.

პირველი გაცნობა საქართველოსაგან რუსსეთისა დაიწყების მთავრობასა დიდის კნიაზის იზიასლოვ მსტისლოვიჩისასა, რომელსაცა, როგორც მოგვითხრობენ რუსთა მატიანენი, ჰყვანდა მეუღლედ აფხაზეთის კნეჟნა. 25) თუ რომე მივხედამთ დროსა ამა მეუ-

---

ეს ფრიადი სასიამოვნო საგანი ფილოლოგიისათვს: ეს არის მეორეთა დასამტკიცი ძველის ცნობა მიდი-ელოთა, სპარსთა და ზოროასტრისა. თუ გინდა საფუძველი მოუძღვნის სანსკრიტულის ცნობა, ინდობის წმიდალურუთა გამოწყვა სამწყსოსა და ქართულის ცნობა, იგი ეძიებს თვისის ცნობის მოყვარებისათვს მრავალს სასიამოვნოს. რედ.

25) კარამზინი, მისი ისტორია რუსეთის სახელმწიფოისა. ტომი. 11 რედ

ლოყეობისაგან შეკავშირებისასა (111 სა წე-ლისა), ჯერ არს ვიფიქროთ, რომელ ჰნებე-ნა იგი იყო და გიორგი III სა, მამისა თა-მარ დედოფლისა 26); ხოლო ქართველთა მატიანენი მდუმარებენ ამ საგანზედ, და ჩუენ იძულებულვართ დავიჯეროთ შემთხვევა ეს, ვერ გამგებელნი მისნი. მაინც და მაინც შემ-თხვევა ესე გვმსაგურებენ ჩუენ განსამარტებ-ლად მისა, თუ რაჲსათჳს რაოდენისამე წლის შემდეგ ქართველთა აღურჩიეს თამარ დედო-ფალს მეუღლე სახლეულთაგან დიდისა კნია-ზისა ანდრია ღმერთ მოყუარულისა —

იოსებ საყვარელიძე.

---

26) აკადემიკმა კრუგმა აღმოაჩინა საქმე ესე რუსულთა ხრონიკთა შინა, რომელნიცა ერ-თობრივ მოგვითხრობენ აფხაზეთის ბეგენისათჳს, რომელი თანამეცხედრედ ჰყვა იზიასლავს; მხოლოდ გეგის მატიანე უწოდებს მას მეფისა ასულად. რო.

# ადგილმამულის მართვა.

## სიცოცხლე ბუნებაში. (*)

თუ ჩუჱნ ყურადღებით და სიყვარულით გავჩხრეკთ ჩუჱნს გარემოს ბუნებასა, რომელსაც მრავალნი არცკი აღირსებენ ხოლმე თავის შეხედვასაცა, ყველგან ვნახავთ მრავალსა შესანიშნავსა და საკვირველსა. რომელსაც გავივლით ხოლმე ტყესა, მინდორსა, მაღალ მთებსა, ღელვიანს ზღვასა, დღით თუ ღამით, სულ ერთია,—მიწაზედა, ცაში, ჰაერში,— ყველგან ვგრძნობთ ბუნების მოძრაობას და

---

(*) დიდად მადლობს რედაქცია უფ. პავლს ამგვარს საგანზედ შრომის მიღებისათვის და იმედოვნებს არ მოაკლებს ამ გვარით სასარგებლოთა სწავლითა. რედ.

სიცოცხლეს! აბა ცოტას ხანს თავი ვანებოთ ჩუენს წუთი სოფლის ამაო სიცოცხლესა, ამ მუდამ ტანჯვის და წვალების სიცოცხლესა, და მივხედოთ მშვიდსა, მხნესა, და ჩუენგან დაფარულსა ცხოველთ სიცოცხლესა, რომელშიაც ვპოვებთ მრავალსა შესანიშნავსა და ბუნების დიდებასა! ვგრძნობ, რომ ზოგნი ერთნი ჩუენი მკითხველნი იტყვიან: ცხოველთ სიცოცხლეს რომ არ მივხედო, განა ჩუენის სიცოცხლის ცნობა კი არა ვმართო. ამაზედ მე ამ რას მოგახსენებ: მართალია, რომ ყოველმა კაცმა პირველ თავისი თავი უნდა სცნას და შემდეგ სხვა რასმე მიჰყოს ხელი, მაგრამ ბუნებაში მრავალი იმისთანა რამ არის დაფარული, რაც ჩუენთვის დიდი სირცხვილია, რომ არ ვიცოდეთ. რადგანაც კაცი არის ბძანებელი და უპირველესი ცხოველი ყოველთ ქვეყნიერთ ცხოველთა შორის, როგორათაც მებატონისათვს დიდი სათაკილოა, რომ თავის ყმებს არ იცნობდეს და იმათ ცხოვრებას ყურადღება არ მიაქციოს, აგრეთვე ჩუენცა არ გვეპატიება, რომ ცხოველთ არ ვიცნობდეთ და იმათ ცხოვრებას არ მივხედოთ, რადგანაც ჩუენც ყოველთა

ცხოველთა მებატონენი ვართ ქვეყანაზედა. მაშ ახლა მივხედოთ იმ საკვირველს მოძრაობას და სიცოცხლეს ცხოველთა, რომელიც ჩუენის დაუდევნელობითა და სიზარმაცით სრულიად დავიწყებულია. ჰაერში, რომელიცა ჩუენ ვსუნთქავთ, მიწაში, რომელზედაც ვსცხოვრობთ, წყალში, რომელსაცა ვსვამთ ყოველგან დაფარულია სიცოცხლე. ბუნება სცხოვრებს, მოძრაობს! ყოველგან სჩანს სიცოცხლე და ბუნების დიდება, ერთის სიკუდილი, მეორესთჳს დაბადება, ერთის საფლავი, — მეორესთჳს აკვანი. ცხოველნი მოკვდება, დალპება, გამიწდება; ახლა ამ მიწაზედ მცენარე ამოვა, რომელიც სხუა ცხოველს აცხოვრებს. ჩუენ ჩუენის გამიწებულით წინაპართ მიწაზედ ხვნა და თესვა გვაქვს. ოდესმე ჩუენც მიწათ ვიქცევით და მომავალნი ხალხნი თავის გუთნით მიწის ბელტით გადმოგვაბრუნებენ სადაც უწინ სასაფლაო იყო. ახლა იქ მშვენიერნი ყანები ბიბინებენ! ერთის სიტყვით, ბუნება წარმოადგენს ჯაჭვს წრეს, რომელშიაც ყოველი რგოლი მხოლოდ ერთმანეთის შემწეობით შეადგენენ ერთსა მთელსა და განუყოფელსა წრესა.

თუ ამ წრეს ერთი რგოლი დააკლდა, მაშინ წრე დაიშლება და ერთობას დაირღვევა. აწ წარმოიდგინეთ, რომ ბუნება ჰგავს ქვითკირის თვალსა, რომელსაც თუ ერთი ქჳა დააკლდება, მაშინ თაღის სიმკვიდრეც მოიშლება და მალეც დაიქცევა. ცხოველს აცხოვრებს მცენარე, (თუმცა მრავალნი ცხოველნი ერთმანეთსაც სჭამენ), მცენარეს აცხოვრებს მიწა და ჰაერი.—ჰაერი სავსეა სხჳა და სხჳა გვარით ფრინველითა, მცენარითა; იმ სუბუქთ, ნარნართ არსებათა, რომელნიც თავის სიცოცხლეს შიშით, საფრთხილით და ზრუნვით ატარებენ. ჩუჱნი წყლები ჰფარავენ, ვინიცის, რაოდენს რიცხვს ცხოველთა, ინფუზორიიდგან (*) მოყოლებული, რომელნიც ისეთი მცირედნი არიან, რომ ას ოთმოც და ათი მილიონი მცენარე, ერთს გრან ვერცკი შაადგენდნენ, და თვით კიტამ-

(*) ინფუზორია არის ისეთი მცირედი მცენარე, რომელსაც მხოლოდ მიკროსკოპიით დავინახავთ ხოლმე. მიკროსკოპი არის ისეთი იარაღი, რომლის შემწეობით თვალით დაუნახველს ნივთოსა კარგათ გავარჩევთ

დინ, (*) რომელიცა წყალში მილიოს დროს მეტით კუნმული გვეგონებათ. ზღვები სავსე არიან ურიცხვთ თევზებით, კიბოებით, ლოკოკინებით, და ვინ მოსთვლის, რაოდენის სხუა და სხუა გუარის ცხოველით. კლდეები დათხრილი არიან ცხოველთაგან, ყოველი ქუაზე უეჭველად ნახავთ მცენარესა. ყველგან სჩანს სიცოცხლე. მიწაზედაც და მიწაშიაც ყველგან სთხრიან, ცოცავენ, დარბიან, მოცურავენ ცოცხალნი არსებანი. რა შევეყარებით ტყის გრიალსა, ყოველის მხრით გვესმის შიშინი მცენარეთა, ფრინველთ ჭიკჭივი, აჩქარებული ფეხის ფაცური შეშინებულთ ნადირთა. თუ დავაცქერდებით ხესა, ბუჩქსა, ბალახსა, რამდენს ნაირს ცხოველსა ვნახავთ, რომელნიც ან ბინას იკეთებენ, ან საზრდოს ეძებენ. აბა ხეს ტოტი მოსწყვიტეთ თუ იმაზედ არა ნახოთ მცენარე, რომელიც ჩვეულებრივ მუშაობს. კარგათ დააცქერდით ფოთოლსა, თუ არა ნახოთ რომელიმე მცენარის კვერცხი, რომელიც იმის მფარ-

(*) კიტი არის ყველაზედ უდიდესი ზღვის ცხოველი. ერთი აფთიაქის მცირე წონაა.

ვულობაში ელის სუნით მცენარეთ გამო-სვლისა. ნამის წვეთი, რომელიც ისე მშვე-ნივრად ბრწყინავს მცენარეზედ, უეჭველად ჰფარავს რამდენსამე თვალით დაუნახველთ მცენარეთა. ზოგჯერ როდესაც ჩუენს ყანებს თავთავი გაწითლდება და დაბიყრათ სისხლის წვიმას ეძახიან, ესეც წვრილთ ალისფერთ მცენარეთაგან არის, რომელნიც სა-კვირვლად მრავლდებიან. კიდევ როდესაც თოვლი გაწითლდება ხოლმე, ესეც წვრილ მცენარისაგან არის. პურის ობიც მცენარე-თაგან არის შედგენილი. სამხრეთის ზღვებში, მზის დროს, ან მთვარიანს ღამეში წყალი რომ ფერად ნაირად მჭყვინავს, ესეც მიკ-როსკოპულთ მცენარეთაგან არის. თვით დედამიწის ყვერო უმეტესი ნაწილი გამო-წებულთ მცენარეთაგან და ცხოველთაგან არის შედგენილი. როდესაც მიწაში ღრმა ჭებსა სთხრიან ხოლმე, მაშინ როდენს უცნაურთ და საკვირველთ, წარსულთ დრო-ბის ცხოველთა და მცენარეთა ჰპოულობენ, რომელნიც ოდესმე კაცის გაჩენის დღითგან ჩუენს მიწაზედა სცხოვრებდნენ წარსულმა დრომ აწინდელის დროს მოუმზადა სიცოც-

ცხლის მასალია, და აწინდელი დროც თავის მხრით ჰმზადებს საჭიროებისა მასალასა მომავალისა დროისა. ერთის ქმნის სიცოცხლე ჰბადავს, მეორე ქმნის სიცოცხლესა. ჩვენო მკითხველნო, არ გეგონოსთ, რომ მარტო მიწაზედა, ჰაერში და წყალში იყოს სიცოცხლე. არა, თვით სიცოცხლეშიაც სჩანს სიცოცხლე! ერთმა სწავლულმა ფრანციუზმა გამოსცა დიდი წიგნი, რომელშიაც აღწერა სიცოცხლე იმ მცენარეთა და ცხოველთა, რომელნიც სცხოვრებენ კაცისა და სხვათა ცხოველთა გვამში რამდენი სხვა და სხვა თხზულება გამოვიდა ამავე საგანზედა, ვინ მოსთვლის. ბუნება ისე ვრცელია, რომ ჩვენს გონებას, სურვილსა და ფიქრს იმისა მშვენიერებისა და დიდების საზღვრის ჰპოვნა არას დროს არ შეუძლიან. ვგრძნობ, რომ ჩვენთა მკითხველთა შორის არიან ისეთნიცა, რომელნიც იტყვიან: ეს ვინლა გამოგვიჩნდაო, რომ საზარელთ, უბრალოთ ცხოველთ სიცოცხლეშიაც პოეზია უნდა გვაჩვენოსო. მართალია, მაგ. ბაყაყი, დასანახავათ საზარელია, (ნამეტნავად ზოგი ერთის სუსტთ არსებათათვის), მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ამ

სამაგულით ცხოველთაც სული უდგასთ და ჩვენს სიცოცხლესთანაც მალიან დაახლოვებული სიცოცხლე აქვსთ, ამ მიზეზით ჩვენ არას დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ის მცირედნი ცხოველნი, რომელნიცა სჩვენ გარშემო სცხოვრებენ და, რომელთაცა ზედა უფლება გვაქვს ღვთისაგან დაწესებული არიან. არიან ისეთნი პირნიც, რომელნიც თუარ ჭამის სარგებლობას, სხვა გვარს სარგებლობას ქვეყანაზედ საჭიროდ არა ხედვენ. ესენი ჰგვანან უზრდელოდ და უგრძნობელს პირუტყვსა, რომელიც მინდორში მშვენიერს ყვავილს ბალახთან არ არჩევს. მაგრამ ყველას თავისი გემო აქვს: ერთს უყვარს ატამი, მეორეს ალუჩა. ვისაც ბუნების განჩხრეკის და ცნობის სურვილი აქვს, ნურას დროს ნუ მისედავს იმათ, რომელნიც თავის უმეცრებით დასცინიან იმის შრომასა. ოდესმე მოგვივა ის სანატრელი დრო, როდესაც უგუნურად და უმართებლოდ ვიზიტებში დროს გატარების მაგივრათ, მივყვებით სასარგებლოთა სწავლათა. მაშინ მოგვივა მშვენიერი ყვავილოვანი გაზაფხული.

ნ. პაული.

1861 წელს. ს. ორჯაბელი.

## ბოსტნის მოშენება.

### 8) თესლეული.

ზოგნი ერთნი ჩივიან ხოლმე, რომ ნაყიდნი თესლეულნი არ გვარგანან, ისიც არ იციან, რომ თესლეული იქნება კარგი იყოს, მაგრამ თითონვე არ უფრთხილდებიან. თუ თესლს ამოსვლის დროს ყინვა მოასწრებს, მაშინვე დაჰკარგავს ამოსვლის ძალას. ზოგჯერა მეცნებელნი მცონარენი არიან მა-ლე მოუმკამენ ხოლმე ქონდა მცენარეს, რომ არცკი ეტყობოდა, დათესილი იყო თუ არა. აგრე-თვე ზოგნი ისე მალია სჩქარენ, რომ ქარი თეს-ლეულს გადააფანტავს ხოლმე და ფრინველნი ჰკენკენ. ბევრნიც ისე ღრმათ თესენ ხოლმე, რომ ქონდა მცენარეს იმდენი ძალა არა აქვს, რომ მიწის ზევით ამოაცვინოს და მიწაშივე ლპება. ზოგნი კიდევ დასათესავს თესლეულს ასველებენ, რითაც ძალიან დიდს ვნებას აძლევენ თესლებსა, ამიტომ რომ ცეცხლს და ნოტიო დროში თესლი დალპება ხოლმე — თუ გსურსთ გაიგოთ, თესლი დასათე-სად ივარგებს, თუ არა, უნდა აიღოთ რამდენიმე

მარცვალი, ჩაზდოთ სველი ნიბლის ან მიწის საჭერში, (რომელშიაც ცოტა მიწაა ჩაყრილი), და ამ გვარად ცეცხლის ალაგს შაინახით. თუ ნახევარ-ზედ მეტი ამოსულა, მაშინ იმედია რომ თესლი დასათესად კარგი.

## 6) ბოსტნის მორწყვა.

ბოსტანი ყოველთვის ზომიერად და თავის დრო-ზედ უნდა მოირწყოს, რადგანაც მომატებული ნოტიო ზოგი ერთს მცენარეს ძალიან ავნებს. ერთის სიტყვით, ბოსტნის მორწყვა დამოკიდებუ-ლია მცენარის თვისებაზედ, წლის დროზედ და ამინდზედ.—ნაკლები ისე არ ავნებს ბოსტნის მოსავალს, როგორც მომატებული რწყვა. მცენა-რენი, რომელთაც უყვართ მომატებული წყალი, უმჯობესია რომ ერთხელ და საკმაოთ მოირწყონ, ვიდრე მალმალ და ცოტცოტად. კარგი მცენარის მორწყვის დრო, გაზაფხულზედ და შემოდგომაზედ არის დილა ან შუა დღის დრო, რადგანაც ამ დროს ღამით ხშირად სიცივეა და ზოგჯერ კიდეც ყინვები იცის ხოლმე. ზაფხულშიკი ბოსტანი საღამოობით მორწყეთ, იმიტომ, რომ თუ დილა-ზე მორწყავთ, მაშინ რაკი მზეს შეხ დაადგება,

მაღლის გამაგრდება ხოლმე და თქუენი მარამაც უსაროვებელი იქმნება. ღრუბლიან დღეებში მორწყვა ფოთლებს მიიღებს. ყლორტი და ქორფა მცენარენი წყნარად მორწყეთ, რომ წყალი კარგად გაუჯდეს; მორვილ მსხლოვანნი და დიდ ფოთლიანნი მცენარენი ცოტად მორწყეთ, რადგანაც ეს მცენარენი თავის ხორცით ფოთლებს შორის ნოტიოს იწოვენ. ასევე სისქე დაფარულნი ბოლქვები, რადგანაც საკმაო სინესტე აქვს, მიიღებს რომ მომეტებულად მორწყან, ვიდრე დიდხნის ხმელ დაფარულნი, რომელთაც ისეთი სინესტე არა აქვსთ. მცენარის გადარგვის დროს ფოთლებს საკმაოდ უნდა მორწყვას, რომ მიწა კარგად გაიმაგროს მიწაში. მუდამ ყვავილის უწინ, მცენარეს წყალი არ მოაკლოთ. ზამთარში მცენარეს ბევრ წყალი არ ესაჭიროება, ამიტომ რომ ამ დროს მცენარენი ისვენებენ ხოლმე. როდესაც მცენარის მორწყვას უკან ქვემოდამ მიწა გაუმაგრდეს, მაშინვე უნდა გაითოხნოს.

## 10) მიწის გათოხნა და მცენარის გარშემო შემოყრა.

მიწის გათოხნა და გარშემო შემოყრა მალიან არგებს მცენარეთა. მიწის შემოყრა უფრო იმ ვარს

მცენარეს აძლევს, რომელსაც გრძელი და მსხვილი ძირი აქვს, მაგ: კარტოფილი, ჭარხალი, სტაფილო, თალგამი და სხვანი.

მცენარის გარშემო მიწის მიმოყრა კიდევ იმით კარგი, რომ მას ფესვი გაუსხვილდების და გაუზრდის სიღრმეს; ამას გარდა მცენარის მიწის მიმოყრა ყოველთვის მასში ნოტიოს იქონიებს და ამ სახით მცენარეს გვალვაში მოინახავს. ბოლოს, მცენარის მიწის მიმოყრა ფესვის მავნებელთ ბალახების ამოსწყვეტს. გათოხნის დროს ეცადეთ, რომ მცენარის ძირს ვნება არა მიეცეს.

## 11) მცენარის გამარგვლა.

თუ ნათესთა მარგვლის საქმეს ქლითა და სხვა და სხვა იარაღებითა იარაღით გამარგვლა, მართალია ძალიან შეამოკლებს შრომას, მაგრამ მხოლოდ მაშინ შესაძლებელია, როდესაც მცენარენი რიგ-რიგათ არიან დათესილნი. ქლით გამარგვლა ყოველთვის გამოდგება მაგრამ, დიდს ჯაფას კი მოითხოვს. კარგი კვლების გამარგვლის დრო მაშინ არის, როდესაც მავნებელი ბალახები ჯერ არ აყვავებულა, ამიტომ რომ აყვავების შემდეგ ამ ბალახების თესლები მიწაში ჩაცვივან,

და ყელმეორეთა გამრავლებენ მავნებელთა მცენარეთა. აჭვდარში გამრავლება არ ვარგა, რადგან ბალახი მირეხს ბევრი მიწა აყვება ხოლმე და მემასაც მააწუხებს. აგრეთვე გამრავლება არ ვარგა სიცხეში, ამიტომ რომ რბილმა მიწამ სიცივისაგან მალიან გამშრობა იცის, რითაც ავნებს მცენარის ამოსვლას. ერთის სიტყვით, გასამრავლოდ ისეთი დღე ამოარჩიეთ, რომ არც მალიან ცხელოდეს და არც მომატებულად ნოტიოიანი იყოს. ზოგჯერ გამრავლების დროს მუშები მოსავალს ფესვით სთელავენ ხოლმე ამისთვის კარგი იქნება რომ მუშებმა ფეს გასდილი იმუშაონ. გასამრავლავად უმჯობესია, რომ დედაკაცები და ყმაწვილები იხმარებოდნენ, რადგანაც უფრო სალისიანად მუშაობენ.

---

## ნაწილი მეორე.

## ბოსტნეული მცენარენი.

### 1) კომბოსტო.

კომბოსტო სხვა და სხვა გვარისაა; ამ მცენარის ორ წლოვანი მცენარე ჰქვიან, რადგანაც კო-

მბოსტო თესლს მხოლოდ მეორე წელიწადზე იკეთებს ხოლმე. კომბოსტოს თესლი დასადებად ექვს წლამდის ივარგებს.

## 1) თეთრი თავიანი კომბოსტო.

ამ გვარი კომბოსტო ძალიან გამრავლებულია. ეს კომბოსტო გაზაფხულზედ უნდა დაითესოს, როდესაც თოვლი დადნება და პატარა სითბოები დადგება, განგებ მომზადებულს მიწით სავსე ყუთებში. ამ ყუთებს ბოსტნებზედ მოიდგმენ ან მაღალს სადმე ყუჩრო ადგილზედ დასდგმენ ხოლმე. ამ ყუთებში მსუქანი და რბილი მიწა უნდა ჩაიყაროს; როდესაც ქორფა მცენარე ამოვა, უნდა გარგათ გაიმარგლოს და ხშირად მოირწყას. ეცადეთ რომ კომბოსტო თბილ დღეებში მორწყათ. ძალიან სასარგებლო იქნება, რომ კომბოსტო დანამოთ ხოლმე, რადგანაც ეს ღონის მიება მცენარესაც მალე ამოიყვანს და ჭიასაც არ დაასხვევს. როდესაც კომბოსტო ყუთში კარგათ ამოვა, მაისში ან ივნისში კვლებზედ უნდა გადაირგან; ეს მუშაობა ეცადეთ ან წვიმის დროს ან უკან მოასხურხოთ. კომბოსტო შორიშორის დარგეთ რადგანაც ამ მცენარეს ხშირი და დიდრონი ფოთ-

ლები იცის მისი კომბოსტო დამწიფდებოდეს, წყალი არ მოაკლდეთ, ნამეტნავად გვალვაში. გარშემო მიწა მაღლამდი გაუთხარეთ და შემოაყარეთ ხოლმე. უფრო შერჩეულნი თეთრთავიანი კომბოსტოები არიან: ბრაუნშვეიგის, ცრინბერგის, ერფურტის, რუსული, შკაბის, მოცქლანდის და სხ.

## 1) წითელ თავიანი კომბოსტო.

წითელ თავიანი და თეთრი კომბოსტო ერთ გვარისა არიან. განსხვავება მხოლოდ ფერში აქვსთ. ამ ორივე კომბოსტოს მოვლა ერთ ნაირია, მაგრამ წითელ თავიან კომბოსტოს ქია უფრო ეტანება.—

## 2) თავ-ყვავილა კომბოსტო. (*)

ამ კომბოსტოს უყვარს კარგი ნოყიერიანი, მსუქანი მიწა და მოყუდროებული ადგილი. თავყვავილა კომბოსტო ითესება ფებერვალში და მარ-

(*) რადგანაც ქართულს ენაზედ ვერ ვიპოვე ცნობილი კაპუსტის სახელი, ამიტომ მე თითონ დავარქვ სახელი: «თავყვავილა კომბოსტო», რადგანაც ამ მცენარის თავს შეადგენენ ერთად შეკავშირებულნი ყვავილნი.

ცში. როდესაც მცენარე ერთს ვერშოკზედ ამოვა, მაშინ უნდა გათხელდეს, რომ ქორვა მცენარე-ბმა ერთმანერთს ამოსვლა არ დაუშალონ. როდესაც მცენარე ჯერ პაწარაა, ცოტცოტად სიცივეს უნდა შააჩვიოთ, და სამსამ ან ოთხს ფოთოლს რომ გაიკეთებს ყუდრო დროს კვლებზედ გადარგით. გადარგვის დროს მცენარეს გარშემო პაწარა წყლის ჩასადგომი ფოსო გაუკეთეთ და მცენარე კარგათ მორწყეთ, ივნისში კომბოსტოს გარშემო მიწა უნდა გაითოხნოს და გაიმარგლოს. რაც კომბოსტოს კვლებში ცარიელი ალაგი დარჩეს, კარგია რომ სალათა, თვის ბოლოკი ან ნიახური დაითესოს. ამ კომბოსტოს ჩურას დროს ფოთლებს ნუ მოამცვრევთ; გვალვიან და მშრალდღეებში წყალი არ მოაკლოთ. როდესაც თავყვავილა კომბოსტო თავს გაიკეთებს, მაშინ მზისაგან მოსაფარავად, რომ მზემ ყვავილი არ გააყვითლოს, უნდა ფოთლები ქილობით აეკრას და ყვავილი შიგ მოექციოს. ეს ლონისძიება შესაძლებელია მხოლოდ ცხელს დღეებში, რადგან ნოტიოიან დროს ყვავილი შალპება. ამ კომბოსტოს სიმწიფე იმით შეეტყობა, რომ ყვავილი ზევით დაიწყებს გაზრდას. ვისაც ამ გვარი კომბოსტოსურს შემოდგომამდინ იქონიოს, ამან უნდა დათე-

სოს სოლში აპრილის გასვლიდამ მაისის ნახევრა-მდინ. წითელი თავ-ყვავილა კომბოსტოს იმისთანა მოვლა უნდა, როგორც თეთრ თავიანს, მაგრამ წითელ თავიანი ისეთს მიწაზედ მოდის, საცა თეთრ თავიანი კარგათ მოდის სოლში. წითელ თავიანი თავ-ყვავილა კომბოსტოს, თუ კარგი ამინდია, აპრილში კვლებზედ გადმორგმენ. უფრო მიჩნეულნი თავ-ყვავილა კომბოსტოები არიან: ანგლიური, გოლლანდიური, კიპრული, აზიური, კაპური და სიცილიური.

## 4) კომბოსტო ბრუნკოლი.

ბრუნკოლი, მართალია ძალიანა ჰგავს თავ-ყვავილა კომბოსტოს, მაგრამ ამათ შორის დიდი განსხვავება არის. ამ კომბოსტოს მარცში და აპრილში თესენ და შეიმუშავებენ როგორც თავ-ყვავილა კომბოსტოს. ბრუნკოლი შეიძლება მაისშიაც დაითესოს, ხოლოდ კვლები ჩრდილიან ადგილას კი უნდა იყვნენ. ამ კომბოსტოს სხუა და სხუა ფერი ფოთოლები აქვს: თეთრი, ნარინჯი და მწვანე. ბრუნკოლის ყვავილი, მინამ თესლი არ გაუკეთებია, იხმარება სატაცურის მაგიერად.

## 5) კომბოსტო კოლრაბი.

კოლრაბი ორი გვარია: თეთრი და ყვითელი. ეს მცენარე ითესება აპრილის გასულს ან მაისის ნახევარში; როდესაც ქორფა მცენარე ბატის კალმის სიმსხო გახდება, მაშინ მორიმორის კვლებზედ უნდა გადაირგოს. გადარგვის უკან, როდესაც მცენარე მიწაში ფესვებს გაიმაგრებს, მაშინ გარშემო მიწა უნდა შემოეყაროს, რომ სქელი ძირი გაი-კეთოს. ამ კომბოსტოს ძირი, — თვითონ ნაყოფია და საჭმელითაც მარტო ამ ძირს სჭამენ ხოლმე.

## 6) სტაფილო.

სტაფილო სხუა და სხუა გვარისაა, მაგრამ უფრო მიჩნეულნი არიან: მოგრძო ადრეული, წითელი და ყვითელი. სტაფილოს სთესენ შემოდგომაზედ, რადგანაც გაზაფხულზედ დათესილი მალიან გვიან ამოდის. სტაფილოს თესლი, დათესის წინად კარგი იქნება, რომ ცოტად დაალბონ. თუ რომ სქლად გინდათ დათესოთ, თესლებს ქვიშა ურიეთ და ისე დათესეთ, რადგანაც უფრო სწორეთ დაითესება. როდესაც სტაფილოს კვლებზედ მიწა გამაგრდება, მაშინ უნდა გათოხნოთ

ხოლმე, რომ ჭყრომა მიწში გაუშროს. თუ სტაფილო ხშირი მოვიდეს, უნდა გაათხელოთ, რომ სხვილი ძირი გაიკეთოს. სტაფილო მიწიდგან მოთხრობამდე ამოიღეთ, როდესაც ჯერ ყინვები არ არის და მშრალს სარდაფში ქვიშაში შეინახეთ. სტაფილოს თესლი დასათესად ოთხს წლამდის ივარგებს. სტაფილო საქონლებს გარდა, კარგია უმაწვილებს უზომოდ აჭამოთ ხოლმე, ამიტომ რომ სისხლს უწმენდავს. სტაფილოს ძროხებსაც აჭმევენ, რისგანაც რძე სქელი და გემრიელი გამოდის. ზოგნი სტაფილოს ცხენსაც აჭმევენ ხოლმე. ბატებსა როდესაც დაჭრილს სტაფილოს აჭმევენ მაშინ გემრიელი ხორცი იციან.

## 7) ჭარხალი.

ჭარხალს უყვარს ღრმათ დაბარული და მსუქანი მიწა. ახალს ნასუქ დაყრილს მიწაზედ ჭარხალი კარგი არ მოდის. ჭარხალი რიგზედ და მარიმარს უნდა დაირგას. ჭარხლის თესლი დასათესად ოთხს წლამდის ივარგებს. ჭარხალს გამარგვლა და გათოხნა უყვარს. ჭარხალი მიწიდგან ამოიღეთ, მინამდის ყინვები არ დაწყებულა. სეკტემბრის გასულს, როდესაც მიწიდამ ამოიღოთ

კარგათ გაწმინდეთ, ფოთლები მოამორეთ და ქვ-შაში მშრალს სარდაფში შაინახეთ.

## 8) ნიახური.

ნიახური შემოდგომაზედ უნდა დაითესოს, კარგს რბილს და მსუქანს მიწაზედ. ნიახურის მოვლა, სტაფილოს მოვლის მსგავსია. ნიახურის ძირი, რომელიც მთელი ზამთარი მიწაში ყოფილა, საჭმელად არ ვარგა სოლომე. ნიახურის სათესლეთ სხვილი და ნედლი ძირები უნდა ამოირჩეს, რომელიც მორიმორს ჩაიყაროს. როდესაც ნიახურს თესლი დაუმწიფდება, მაშინ მცენარეს ფოთლები მოაცალეთ და მშრალ ალაგს შაინახეთ.

ნ. ჯაყელი.

(განგრძელება შემდეგომ ნუმერში იქნება.)

## 12 ოკტომბერს 1860 წ სიღნახს.

(ივ. კერესელიძის მოგზაურობიდგან.)

ორის და სამის დღის განმავლობაში არ შეწყვეტილა წვიმა და ბურუსი. დილით, რა ცურცუნისლი მოშორდა მიდამოსა, გავედი ციხე-ქალაქის სანახავად —დავიწყე ბაზრებიდგან. ჯერ ეს უნდა ვსთქვა, რომ ალაგის მდებარეობა არის მეტად მოსაწონი. დასავლეთისაკენ მაღალი დაქანებული გორა, რომლის დაქანებულსავე მწვანეთ მოსილს მინდორზედ აქა იქ ჭადრაკულად გაბ-ნევიან სახლები.—ბაზარი მიდის ორ და სამ ქუჩად, აქაც ის სახეა შუა ბაზრისა სჭირს, რა საკვირველია ჭამს ტფილისის შუა ბაზარს. ამ ბაზარში ისეთივე გუგუნი ყურს სცემს საქანელს. როგორც ზოგი ერთს უფრის ქალაქში, ჯერ ნახავთ აქ, რომ ერთს დუქანში ისხდნენ ცხე-

და სხუა ჴელობის კაცნი.—შუა ბაზარი დახურულია ზემოთგან, ტფილისის ბაზასხანის მსგავსად. კეთილშობილურს ვაჭრობას, რომ იტყუან სწორეთ ის ვაჭრობა მეფობს აქა. ორს სამს ალაგს განვლებ დავათვალყურე საქონელი, რომელიცა დამფასეს კეთილსინიდისით, ყური მოვკარ ბევრს ალაგს ისეთის ზდილობიან სიტყვებით ვაჭრებოდნენ დედაკაცებს ახლოს სოფლებითგან სავაჭროდ მოსულებს, რომელიც მგონია ტფილისში. დასავლეთის მხარეს, სადაცა დუქან ბაზრები, და სახლები ზოგან დიდრონები, ეს ნაწილი ქალაქისა არის ახალ ქალაქი. ძველი ქალაქი, ესე იგი მეფის ირაკლისგნით აშენებული არის დასავლეთის მხრივ, მაღალ გორაზედ, რომელსაც გარემოშჳდს გერსზედ ისეთი ქვითკირის გალავანი ავლია, რომ იფიქრებს კაცი, ახლახანს აშენებულია. ახალს ქალაქის მხრივ, კლდეში დაცანებული აქუს პატარა ეკკლესია, სადაცა თუ ათი კაცი მოთავსდა, დიდად სჭებია. ქალაქი თუ მათში მცხოვრებლები ყოველის მხრივ შემკულია, მხოლოდ აკლია ერთი: ეს არის ეკკლესია. ამოდენა მცხოვრებთ, რომელნიცა შეადგენენ სამ ათასამდე, ერთი ათასი კაცის დასატევი ეკკლესია აქუსთ. ეს თვით პატარა ეკლესიაც ირაკლის წყალობით, თორემ იქნება ესეც

არ ყოფილიყო. როდესაც მყვალი და ვნახე, მაშინვე ის გამახსენდა, როდესაც ფშავ ხევსურნი მეფის ირაკლის გარდაცვალების შემდეგომს მოვიდნენ, მოსთქმიდნენ გულმდუღარედ და იცემოდნენ, სხვათა შორის:

იდამთენ მას მენი მის მენი მაისა ვიტყოდეთ
ქებისა,
მისგნით მამაცნი აღზრდილნი ჰყოფენ კეთილსა
ძმობისა,
მტერთა მისცემენ პასუხსა, მოყმეთა თანახმობისა,
მადლით გამოვიცნათ აწ ძმანო, ვინც გვიზამს
ირაკლობასა!

როდესაც ვიდექი ამ პატარა ეკკლესიის გვერდზედ კოშკის წინ, და როდესაც ნისლმა ცოცათი მაღლა აიწია, აქ გამოჩნდა მართლაც და დიდებული პანორამა: პირ და პირ დაინახავთ კახეთი გარს სანგრად შემოვლებულს თეთრად მოსილს თვალუწდომს მთას, რომელიცა თითქოს იცავამსო კახეთს მძლავრთა მტერთაგან; წინ, დაქანებულს ვრცელს ალაზნის მინდორს, რომლისა შუა გველის მსგავსად დაკლაკვნით მოდის და იკარგება შორს, გველისავე მსგავსად

მოშავო ტყეში, საიდგანაც მოჩანს შკარი და ბუ-ლაქანი; მარჯვნივ, გამოდის გასწვრივ კვალად მთის, რომლის მხარეს მწკრივად აჭყვებიან სოფ-ლები, ეს გახლავსთ ქისიყი.—მარცხნივ კვალად მაღალი მთის, რომლის გვერდზედ, აღმოსავლეთით ორ და სამ გორზედ მოშორებით აშენებულან კვალად სოფლები.—ეს გახლავს წინა მხარედ წოდებული. ამავე მთის, მეორეს მხრივ, დასავლეთით კვალად აშენებულან ახლოს-ახლოს სოფლები: მელაანი, იკალთო .... და სხ. ამას უწოდებენ უკანა მხარედ.

ცისის შუა გულს, ქალაქი არის მცირე, მი-ზეზი ამ ახლო სოფლების აღშენებისა ცხა-დია. პირველად ეს უნდა ვსთქვათ, რომ ვიდრე ირაკლი მეორის მეფობის დაწყებამდე, ეს ალაგი, ესე იგი, სადაც მცირე ქალაქი არის აღშენებული ყოფილა საძოვარი ალაგი, მთელის ქიზი-ყის საქონლის გამოსაკვები, ირაკლის უბრძანებია, ამ ალაგში სიმაგრის გაკეთება, ქიზიყის სოფლებიდგან, გადმოუსახლებია რომელნიმე გლეხკაცნი, შემოუკე-რავს გალავნი და დაურქმევია სიღნაღი (მოგრო-ვილი. თათრული ლექსია) ე. ი. თავის შესაფა-რებელი. ამ ქალაქის კოშკზედ რომ შეხვიდე შეგიძლიან ცისის ჭერმეტ, ანუ მარცხნივ და მარჯვე-ნივ მთის მაღლობებიდგან ერთიერთ სოფელს, ერთის

თოვლის დაცულაზედ, ერთის სახის მეიერობებოდნენ ოცი და ოცი და ათი ათასმდენ ფერნი. თუ მთიან გაჭირდებოდა, ამ თავის მესაზღვრეებს ანუ სიღნახის ციხეს მიაღწევდნენ მრთელი ქიზიყი და კახეთი. მართლად და უნდა უცნობელი ფერი იყოს რომ ამოყვლად დიდებულის პანორამის ხაზგაზედ არ მოუყვიდეს ცეცხლი და არ იმოქმედოს იმაზედ ამ განსაცვიფრო ბუნებამ.— რა უცხოები კარგა-ხანი ამ ჩინებულს კავკასიის და ალაზნის დაქანებულს ველოს მინდორს, მომაგონდა წარსული დრო, მომაგონდა ის დრო, როდესაც რამდენი რიგი სპარსი და მტერნი მოსულან ამ ალაგს და დაუნთქვევიათ სისხლი; რამდენჯერ მოუსწყდათ ამ მთისათვის მამათა და რამდენჯერ უხსენებიეს ჩვენ ქვეყანას მტერთ მეწინაღმდეგობა ამ ალაგისათვის. ამ ფიქრში მიმავალი ერთს ალაგს, და უმეტეს ღრმა ფიქრში გავიწყუ.

კავკასო! მოველ, გისალამ, ეგ შენი ქედი
მაღალი,
რომლის თავს გადაჰყურებს, თეთრად მოსილი
ყინვალი. —
ამწვანებული კავკასო! ნუ გაქვს ამაყი გუნება,
თუმცაკი მეფობს, გიპყრობს შენ განსაცვიფრო ბუნება.

ვით მეფე ტახტსა მჯდომარე, დაჰყურებს ქვეშე-ვრდომელთა,
ეგრეთ შენც გარსა ევლები ვრცელსა და ურიცხვთ ღელეთა.
შენებრივ ამპარტავანი ალაზნისა მდინარე
გველებრ კლაკვნითა მოცვარდის, თითქოს მარად მცინარე,
შენსა გარს მყოფი ყოველი, კრძალვით და რიდით გახსენებს,
აქეთ და იქით მინდორი შენსა მეფობას აშვენებს!
კახოსის შვილნი ერთგულნი შენსა.....
სხუა არის შენი იმედი.....
მყელსა დროს ჩუენმა ბატონმა, შენ მეფე, შე-ვრჯელ აგყარა,
მისთვს თუ შეგპარებიეს თავსაზედ თეთრი ჭაღარა!
შევრჯელ მან გფლობდა კავკასო, ირაკლი, კახი პატარა,
რომელმან თვსნი მოყმენი საწყლად და ობლად დაგყარა.
შენ ჩაგაბარა ირაკლიმ კახელნი, ქართველთ ვით ბედი.
რაც უნდ დაბერდე კავკასო! სხუა არის შენი ...

. . . . . . . . . . . .

ზედ წარწერა ამ ციხეზედ, ვინა ეკკლესიაზედ არა არისრა.—რა ცოცას სანს გაჯიქ', 'გეემ' და ჩამოველი მოისავე, ქუჩების გასამინაჯვათ.—მცხოვრებნი არიან ამ ქალაქში უმეტეს ნაწილნი სომხები, რომელნიც თავისის ჩვეულებრივ დიდად ცდილობენ, თავიანთ გვარის წინ წაწევას. ამათა აქუს მშვენიერი საკუთარი ეკკლესია, დიდი და მაღალ გუმბათიანი, რომლისა გვერდზედ საკუ-თარივე სასწავლებელი აქუსთ დაფუძნებული. ახლა მოუგროვებიათ კარგად ფული, მასწავლებ-ლების მოსაწვევად და სხვა სხვა საგნების სასწა-ვლებელად, სადაც უპირველესს როლს ითამაშებს სომხური ენა.—გვანებებულან ჩუენს ქართველებს! სხვა მცხოვრებნი შეადგენენ სამსახურში მყოფთ ჩინოვნიკებს. ყოველს ქუჩაში მომაღლო და მოდაბლო ალაგია.

როდესაც დაუტოვებთ სიღნახი, და გავემართენით წინამძღრის კახეთს, ჩავედით მშვენიერს ხეობაში, რომელიცა პირველსავე ნახვაზედ, წარმოგიდგებათ იმერეთის ხეობები.—ნამდვილად იმერეთი ეგონება ეს ალაგი კაცს. აქეთ და იქით მიმდინარეობს წყალი და აქაიქ არიან გამართულები წისქვილები. ეს წისქვილებიც წორეთ იმის მსგავსია, რომელნიცა შეხვდებიან მო-გზაურს იმერეთში და, რომელთაც უწოდებენ იქ

ბუჭუკისა. — რა გაუსცილდით ევროპას, ანუ მეტს ვერსსა,, დავეშვდ დიდი სოფელი, რომელსაცა აქვს ისავეთი დიდებულის და მშვენიერის ქა-ლის ანის საფლზედ, რომელიცა აქ თურმე მდე-ბარე. — ამ სოფელში მცხოვრებენ ოისისმეენ მცხოვრებნი; მშვენიერ აგროლის ხეებს ქვეშ და შიგ ვენახებში; აქ მინდორი მოსვლება კაცს მოწყუ-რი სისხლი; რაც სასხოა უმეცესი ნაწილი ზემოთ აღშენებულია. — აქაური ადგილი მამულის მართებს უმართებლესი საგანი არის ღვინის მოყვანა, და მარცვლეულის გაკეთება, რადგანც თუთის ხეები ხშა-რია. აქ კეთილმობილებისგანი არაგანა სცხოვრებს. ლის ანუ სამს ვერსზედ გამოცილებით, დავე-ხვდებით სოფელს, რომელსაც აქვს გარდასხვით — ყოველი მკითხველი მეგონის მისწვდეს თუ რათა აქვს აგარდასხვისიანი კარგათ ნაცნობი. მარ-თლიად და, უკეთესი არ მეგონება სოფელი. აქაც ამაღლებული და დამდაბლებული ალაგები, ზედან სახლები, რომელიცა აღშენებულია ხეების ქვეშ, ისე რომ მგზავრის ეგონება, შიგ ვენახებში დგა-ნანო. ამ სოფელში იქნებიან მცხოვრებნი ხუთას-სამდე, მდებარის ალაგს, წინ აღმოსვლის მინდორ-ზედა, დაინახავს კაცი ნახნავებს და ეს ნახნავები ისე გადამშენია ერთი ერთმანეთზედ, რომ იცნობს

მხიარული, მართლაც ეს მინდორი გასაკვირია, მთიულთა ჭა სიქვა ამ ველი მთის მუხანი. ყვავილებული გორები და ლეკვის ნაწვერე ნაკადები და ტყეები, ლეღვის მწვანე ბალახიანი ჭა ხეხილის, ვაზისახელის ჭა ამის ლეკვის ნაწილები აქვსთ. — ამ სოფლები ქრისტიანებს ადგილის გინახავთ, რომელნიც მეგობრობენ ერთ ჭა ამ ჭა კალაკ მისს კიმილობისა. — ყოველს ამაგის თავისის მშვის აქვთ ხანგრძლივი გაზაფხული, რომელთა მარტის ოცამდის ზღვაა თ. ლამ. ათის განს. ჩვენ ეს უნდა მოვიხსენოთ ორი სხვა ჭა ბრაგანტ მოსწავლეთა, რომ ამ გინახელს მეოთხედის ორი ან სამი კაცთა ადგილი. — ამისათვის საფრთხეე გორებს, მოვიხსენოთ წარმოება ამავის გინახვითა.

(გაგრძელება შემდეგში)

## პასუხს პასუხი.

---

ვინ დასცა რომი და ვინ იყო მიზეზი ამ მშუენიერის მჴედრის მჴედრადვე აღყვავებულის იმპერიის დარღვევისა? ვინ დასცა სპარსეთი და ვინ იყო მიზეზი მისის მოუძლურებისა? ვინ .. მაგრამ, არა, აქ შევსდგები, ვაჲ მწუხამს და ჟრჟოლვა მაკრთობს... ვინ დასცა? უთანხმოებამ! უთანხმოებამ საყვარელნო მკითხველნო. უთანხმოება არის მიზეზი ყოვლის ბოროტისა უთანხმოება გაასწორებს მრთელს ხალხს მიწის პირად და უთანხმოება დასცემს თვით აღყვავებულს და განძლიერებულს სახელმწიფოსა. რომელს [illegible]რა ხალხში არსებობს ამ გვარი მომა-

გადინებული სენი? ფარისევლობაში! ფარისეველობაში საყვარელნო მკითხველნო! «ვაჲ თქვენ ფარისეველნო და მოძღვარნო, რომელნიცა დაქადაგებთ ხალხს კეთილისათჳს და თქვენკი შორავთ მას.» ფარისეველნი, რომელნიცა გამოდიან სათეატრო მოედანზედ, თვითონვე არიან მოთამაშენი და მაყურებელნი, დაქადაგებენ ხალხს, თვითონვე ისმენენ იმ ქადაგებას, მეცადინეობენ მაყურებელთა დაუკრან ქების ტაში და საქმით თუ კარგა თვალი დავაკვირვეთ, ქება რჩებათ იმათ და ხალხს, ნაყოფი არაფერი. აჲ ფარისეველნი! ჩამოდეგით ბატონებო ამ მეიდნიდგან, ჩამოდექით, თორემ «ვაჲ» უსასტიკესი მეხი სიტყუა, საღრმითო და შეურყეველი, გამუქარებით, ეს მეხი სიტყუა ჩაგნთქავთ თავის უფსკრულის სიღრმეში. დაანებოთ თავი ამ გულის და სულის შემაწუხებელს ფარისეველთ თვსებას და შეუდგეთ თ. ილიის ჭავჭავაძის პასუხზედ ლაპარაკს.

✓ უფ. ჭავჭავაძეს მეტად მოეწონა მამულის სიყვარული და ბძანებს» «ჩვენ ჩვენს მშობელს მამასაც არ დაუთმობთ ჩვენის ენის მორყევნას და გულით მსურს ენის წარ-

მატყუარა? თანავე იმახის კალამს ხელში ნაყუ-
რავან აილებთო და თუ აილებთ ვინმე ისიც
მართლა მოვითხჳს დასაწერათათო. ეს არის
ენის სიყვარული? ეს არის წარმატების სურ-
ვილი? აი შემმუსრველი სენი, მაგრამ ყურს
ვინ უგდებს ამ გვარს ლაპარაკს, ამით კალა-
მი ვის უნდა დაატყვევებინოთ? ან მალით და ან
ნებით, ყოვლის კაცს გული აქვს და თქვენ
ვერ მიიღებთ მფლობელობას მათის გულის
სურვილზედ. დამშვიდდით, ეს მხოლოდ არის
ყმაწვილური შექცევა. ზმანებს: მეთერთმეტე
საუკუნიდამ დაწყებულნი ძველნი და ახალნი
მწერალნი არ გარგანანო, ამის თქმით განა
განქრნენ საქართველოს ძველნი და ახალნი
სასიქადულონი მწერალნი? განქრნენ საუ-
კუნოთ, მისუსტდენ იმათი სახელნი? ლეჩთის-
გან ცხებულნი მეფენი თეიმურაზ, ვახტანგ, არ-
ჩილ და სხვანი საქართველოს გამოჩინილ-
ნი სწორწოდეთ საველეკში, სწუხდეთ ჩვენის
უმეცრებისათვს, მოიტანა საუკუნემ, მოხდა
პეტერბურღის უნივერსიტეტმა იმგვარი მა-
ღალი გენია, რომელიც თავის აზრში ამტკი-
ცებს რომ, რადგან «მინადამ კარ მიარ გამო-
სულიერთ და უნივერსიტეტის გავლენის ქვეშ

არ ყოფილხართ» ვითომც არ ვარგოდეთ, ვითომც თქჳენი ნაწერი იყოს უაზრო, უსაგნო, თჳნიერ ყოვლის მშჳენიერებისა, ყოვლის ჴელოვნებისა. მართლიადაც არის ნათქუამი «დრონი მეფობენ და არა მეფენიო» მართლიათაც, დრო არის შემმუსვრელი ყოვლის ღჳთისაგან ქმნილებისა, დრონი დასცემენ დიდთა და მცირეთა, დრონი სცვლიან ხალხსა და იმის თჳსებასა. — ფიქრმა მალიან შორს გამიტაცა, განსვენებულნიც გახსენებით ვითხოვ მოტევებას, როგორც მკითხველთაგან, ეგრეთვე განსვენებულთ აჩრდილთაგან.

მე აროოდეს არა მწადდა როგორც ალეგოქჳ კიდეც, მიმეცა პასუხი თ. ილია ჭავჭავაძისათჳს, თუ რომ იქნებოდა ჩემი რამდენიმე აზრი დარღვეული ზრდილობიანის და განათლებულის კალმით, მაგრამ რადგანც ჭავჭავაძეს პასუხი მორავს ზრდილობას და უმეცრებით დაუბადებია ახალი ენა, უეჭველია ამ ახალის ენას პასუხიც მოეთხოვებოდა.

თავდაპირველად იწყობს ჩემი მოპირდაპირე და ზმანებს: ზარაქალო, ჩემო სტატიავ, ზარაქალო! ეს რა ამბავია ერთს სტატიაზედ სამი სტატიაო, ეს ის ამბავია, რომ ჩემ მოპირ-

დაპირეთ რიცხვთ ჭოხნა სურვებიათ და არა თავის სტატიების ღირსებათაო და სხ. არა, ჩუენო სასტიკო კრიტიკო, ეს თქუენგან ძალიან ტკბილი გამოცანა გახლავთ. ეს ის ანბავია, რომ ერთი კაცი დასცინით ათასს, ათი ათასს, ერთი სიტყვით მრთელს საზოგადოებას და იმათის რიცხვიდამ სამი მაინც არ გამოქცევმდა პასუხს? «სულელის უბედურება ისკი არ არის რომ სულელია, სულელის უბედურება ის არის, რომ თავ..ს თავს ვერ იცნობს და თავისი თავი დიდი რამე ჰგონიაო.» კაცის ბუნების მოთხრობა მაღალი სასწავლებელში არა მგონია თქუენთვის ახლა ესწავლებინოთ და თუ გზაზედ გაგონიათ სადმე ესკი არ ვიცი ამ მნიშვნელობასკი განვითარება არ მტყობდა. ამას: უსწავლელნიც იტყვიან, რომ თუ კაცი სულელი იქნება, იმას თავის თავი აღარც დიდი რამ ჰგონია და აღარც პატარა. სულელის დამდაბლებისა და ამაღლებისა რაღა ესმის, ან თავის ბუნებისის ენაზედ და ან სხვაზედ. ამ სოფლიურის სიმწარისა და სიტკბოებისა რომ არა ესმისრა, თავის თავის დიდობისას თუ პატარაობისას რაღას ინაღვლის, და თუ მადვენი ესმის, ის აღარც

სულელი იქნება თქუენ სულელობა ყოვე-
ლით იმისთვის მივიწერიათ ვისთვისაც ფრანცუ-
ზული არ ესწავლებიათ. ფრანცუზული რა-
ტომ არ ესმისთ. არა ბატონო, სულელი
ის არის მიუწერება, რომლისათვისაც ზოგ-
რი რამ ესწავლებიათ და იმის მეხსიერებას
არც თუ ერთის იოტის ოდენი მიუღია. ამ
ამ გვარის კაცისას იტყვიან სულელიაო, ჩერჩუ-
ტიაო!....

„ხშირად შემხვდება ხოლმე სიტყვერება,
ლიტერატურა, კრიტიკა, ხელოვნება და სხ.
მაგრამ მხმარებელთ ხმარებელის გაგება არა
ჰქონიათ, რომ ჰქონოდათ დარწმუნებული ვარ
კალამსაც ხელში არ აიღებდნენო" რით ამ-
ტკიცებთ, რომ ამ ლექსების ხმარებელთ არ ეს-
მისთ ის, რაც ქართულის ენაში შემოტანი-
ლია და თუ არ ექნებათ გაგება დარწმუ-
ნებულნი ბძანდებოდეთ არც იხმარებდნენ.
ჩუენც ჩუენის მხრივ აი რა უნდა
ვსთქვათ: თუ გცოდნოდათ რა არის ენა, რა
არის სიტყვერება, წერილის რა ზრდილო-
ბიანი თვისება ექნიტება, რა კეთილ ზნეობის
მიმართულება და რა შედეგება ჩუენს მამა
პაპათ წინაშე მოქცევას, არასოდეს არ ეძლე-

ბოდით ასე ენის წახდენას და მამაპაპათ დამდაბლებას. აბა მართლად სასიკჳდინე ცოდვა ეს არის, რომ კაცი ამდაბლებდეს იმ პირთ, რომელნიცა მდგარან მაღალის ხარისხზედ და დღეს სიკჳდილისაგან დადუმებულნი ვერ აძლევენ პასუხს თჳსთ შემარყეველთ მოპირდაპირეთა.

ამოჳჩემებია «თეოკრატიკა» და ყოველის ფურცელზედ ერთსა და იმავეს სიტყვას იმეორებს ეს კი გაგვიგონია ჩვენ, რომ როდესაც გონიერს არსებას მოაკლდება ღჳთისგან მოცემული გონიერება, ამოირჩევს ერთსა და იმავე სიტყვას და დაიჟინებს, სხვათა არსებათა შორის, ეს ბუნების სისუსტეკი არ შეგვინიშნავს. აბმანებს, ჩემი მოპირდაპირე, თეოკრატიკას ამ რიგათ განსაზღვრავს «ა, ბ, გ, დ, და სხ.» მე არც მითქუამს და არც ვამბობ, რომ თეოკრატიკა გვასწავლიდეს ა, ბ, და სხ. მე მითქუამს და ვამბობ, რომ თეოკრატიკა გვასწავლის წერის კანონს და თუ თქუენა გსურთ მაგ რიგათ გაიგოთ ეს კი ჩემი ბრალი არ არის. უნივერსიტეტის დაცინებასაც მწამებთ რომელზედაც ჩემს თავს არასოდეს ნებას არ მივსცემ, უნივერსიტეტს დავცინო, ეს კი მართალია თქუენ დაჰცინით,

როგორც სტ... როგორც სტუდენტე-
ბის... საგულვებელია მკითხველნო, რომ უნი-
ვერსიტეტით დიდად თავს იწონებს და იქ
გადასვლით და გადმოსვლით. ერთს მაგალითს
მოგახსენებ თუ არ იწყენს: საზოგადოდ ბატო-
ნებო ერთს გლეხს ჰყავს, ერთი
ქეცვიანი თხა გაეშვარა. ეს ის დრო იყო
როდესაც ვრცელი ზურგების ბალა იმოსებო-
და მწვანეთ და მრთელი დაღისტნის ხალხნი-
ემსყქარებოდნენ საქართველოს, მაგრამ იმ
თხამ, მრთელი დიდოს არემარე მიარ მოია-
რა და რამდენისამე ხნის შემდეგომს ისევ ჰა-
ტრონს კარს მიადგა. მაგრამ ამ ყუზედ ურეგზა
ისევ ქეცვიანი! დარწმუნებულნი უნდა ვიყვ-
ნეთ, რომ იმ თხას იქ გადასვლა და გადმო-
სვლა არც განიერებით მოსვლია და არც
მლიერებით. სირბილით სწავლა არ დამ-
ტკიცდება და შინ ჯდომით უსწავლელობა.
მოშორებლია ჩემი კრიტიკა და ორს ფურ-
ცელს აწერებს პოეზიაზედ, ესე იგი.
გვასწავლის რაც არის პოეზია «ჯელოვნება
არის განხორციელება სახეში იდეისა»
რადგანაც გვიბმანებს, ჩუწნისთანა სცუხტნი არ-
სებანი ამაზედ პასუხს ვერ მისცემენ, მეტადრე

უსწავლელნი, ამისთჳს გვსურთ რომ გაასარჯონენ და საიდამაც ეს ამოუწერიათ პასუხიც იქვე წაიკითხონ, მაგრამ ესე კი ძნელია, რომ ის სიტყვები თვითონვე გამომეტყველებენ, რომ მოპარულია და გადმოღებაში ვერ მოსვლია სურვილისამებრ, თუნდა ჴელმეორედ წაიკითხოს თავის სტატიის **231** გვერდი და შემდგომსვე იქნება კარგათ შეამჩნიოს თითონაც. პოეზიაში დახელოვნებული პოეტი მოჰყოლია და დევებზედ კი ლაპარაკობს ზღაპრებს «დევს დევის ძუძუ გამოზრდის და თუ ჩვეულებრივ ადამიანის ძუძუთი გაიზარდა, ის დევი აღარ იქნება და ადამიანი თუ დევის ძუძუთი გაიზარდა ის ადამიანი აღარ იქნებაო» აი მართალიადაც სამასხარაო ფილოსოფია! დევი ადამიანის ძუძუთი გაზრდილი მშვენიერი კაცი შეიქნება და კაცი დევის ძუძუთი აღზრდილი შესაზარებელ დევად შეიცვლება ყოველის ხასიათით. მკითხველნო ერთი ღმერთის გულისათჳს შეასმინეთ, ასე არა არისრა, საქმე სიტყუა არისო! ერთი ჰკითხეთ სიტყუა ასეთი არ არის შედგენილი? ანა თუ ასე არა არისრა, აიღეთ თუნდა თქვენი ლექსი, სადაც ხმარობთ ერთის

ალიავს «ჭყვავის» მაგიერად, «ყვავის» არ ვიცი რის გამოხატვას უნდა შევამსგავსოთ, ყვავის ბარტყს, ყვავის ბუდეს, თუ მამულის აჭყავებას. იცოდეთ ბატონო და დარწმუნე ბულნი ბძანდებოდეთ, რომ ერთს ასოს შე-უძლიან მთელის აზრის დაკარგვა მრთე ლის სიტყვს შეცვლა და ესეც იცოდეთ რომ თუ ყვავის ბუდეს მოუმატებ ერთი ასო ჭ, მაშინ ბუდე ყვავისაკი აღარ იქნება ბუდე ხესავით ჭყვავის—მე და თქჳენცკი ვიმტვრი-ლით თავი და ვიმახოთ, ასო არა არისო.

კაცს ერთერთი სხეულის ასო რომ აკლ-დეს, მაგ. თვალი ან ყელი, ანუ სხჳა სხეუ-ლის ასო, მაშინ დამახინჯდება და სხჳა სახელი რომ ერქჳას რამე კაცის სანაცვლოდ, მა-შინკი არა დაუშავდებარა. «ნუ განიკითხავთ რათა არა იყვნეთ განიკითხულნიო» თქჳენ სადმრთო სიტყვების შეცვლის უფლება ვინ მოგცათ, ესეც ხომ ჩემი სიტყვა არ არის რომ გადაზრუნებით მიიღოთ. მეორეც ეს, რომ ბძანებთ, ეს ამაზედკი არ არის ნათქ-ჳამი კაცი წყალში რომ იხრჩობოდეს ხუ მოარჩენ თორემ შენც რომ იხრჩობოდე გა-დავარჩენენო ეს თქჳენის ახალის ენის ტან-

ზედ, თქუჱნვე გამოგიჭჳრიათ და შეგიგერამთ, თორემ მე არც ერთი მითქუამს, და არც მე-ორე, რაცა გვითქუ, იმას სხუა მნიშვნელობა-ცა აქუს. რომ ზმანებთ, რა დაჰკარგუთ და რას ემებენო. ზაცონია და, ამაზედ მეტი რაღა ყუნდა გაგვეკარგულსზრდილობა და ზრდილობი-ანი ენა, თუმცაკი თქუჱნ ამით მოჰყვენეთ «მე ეზიილობამონა არცა მეჯვარიებია და არც მიჯუარს, მე როგორც მესმის იგე ვლაპარაკობთ» მჭევრ მეცნიერებით და მლოცველის ხმითა ზმა-ნებთ თუ ცისკარი ყუარგისია კიდევ თქვენ-გან ყვავები ფარმაკავნის ფრთეებითა, ზულა-ზულებო ყორნის ჩხავილითაო» საკვირველია რომ მეროცხალიკი დაგვიწყებიათ და არ გით-ქვამთ: მეროცხალნი ლოზროებრ ჭყივილითა. ცისკარი ვარგისია თუ ყუარგისი თქუჱნთჳს, სულ ერთია, რომ არა გაიხყოლობა, წყოთუ მართლა ცისკარში ჩვენი განვითარება, ჩვე-ნი გონებრიობის ხარისხია გამოთქმული, ნუ-თუ მართლა ეგრე დაეცა რუსთაველის ხალ-ხით» რუსთაველის ხალხს რაღასა სწავლებით, თქუჱნ მხოლოთ ერთი მოგწონთ, იმათ რი-ცხვში. განა შემშენის ვისმეს ხან ქება, ხან ძაგება. სადაც რას მოიხმარებს. ცისკარი

ზემოთაც მოვიხსენიე როგორც სჩანს აქ ჩუენ არა ვკითხულობთ და სულ იმ განათლების გზას ვუნდებით ახალი ახალის ჩრდილოეთის პოეზიის მოსაცლენათ. ესა სად მოიცლიდით, ეხლაც მადლიერი უნდა იყოთ იმისი, ვინც მოგცათ მიზეზი გულდამყარებით ჟურნალების კითხვსა.

„იყოს ის ბედნიერი დრო როცა ეს ლექსი თურმე მოისწონდათ მაგ თეორეტიკაში თვალებ ჩაწყალებული პირიდო.“

„არჩილ კახიებრ ბალისანკი ნამოგებრ და სხ. აქ რა არის ზნეობის შემარყეველი სიტყუა და ან არა სჯობია მიჭიზუჭების ლექსებს, რომელსაც თჳთ ჩუენ აქებთ ხოლმე.

ენას, ჩუენს მამაპაპათ, დარბაისლურს ენას, არც ამაღლება ეჭირვება, არც დამდაბლება, ჩუენი ენა დიდი ხანია სასრულეშია მოყვანილია მხოლოდ გზა აზნევია ამ ენას თქუენებრ მწერალთ წყალობით, რომელსაცა დაფუძნება უნდა და მიმართულება. «საკვირველია რომ ეს უბრალო აზრი, არ ესმის ჩუენ მწერალ ქალსა, აი რუსეთში განათლებულმა და უცოდინარმა კალცოვმა თავის ნიჭით ასეთი სახელი დაიგდო, რომ პუშკინ-

ზედაც მაღლა დასვესთა» საკვირველია რომ ეს უბრალოდ აზრი რუსულია და არ ესმის, მაგრამ ესეცკი საკვირველია რომ რუსეთის მწერლებზედ ელაპარაკებთ იმ პირს, ვინც რუსული არ იცის და ეს მართალია თუ ტყუილი ვიღამ უნდა შეატყობინოს. ვაი ჩუენი ბრალი, ახლავე, სულელის დაგვიძახებს ყვ. ჭ. რათ ანბობს რომ რუსულს ვერ გავიგონებო.. «ძალიან გულის ტკენა ბძანდება ჩუენი მწერალი ქალი ჩემს სტატიისაგან რატომ არ მაქოვთა» დიდათ, სწორე მოგახსენო, მაგრამ სხვა ვინ აქეთ რომ მაგაზედ მე დავმდურებოდით, ამაზედკი გემდურით ვისაც სასაცილოთ იგდებდით, თქუენნი სტატია იმათვე მიუძღვენით, და მეკი გამომრიცხუთ იმათის რიცხვდამ. «ბძანებთ მე არცკი მომგონებია იმათი ლექსების ბლაჯნა და მარხვების ტრაკტაცია. ამაზედკი სარწმუნოდ გახლავართ თქუენისთანას განათლებულის, თქუენისთანას დიდს პოეტს, გამოჩენილის მწერალის და ახლის ენის აღმადგინებელის რათ მოაგონდებოდა ვისიმე ბლაჯნა და მარხვაზედ ამენებულის აზრს რას საგნისათჳს მოიგონებდით, მაგრამ ვინც პასუხი

მოგცა იმაზედ მაგრე ამბობთ და ვინც პასუ-
ხი არ მოგცა იმაზედ ბძანებთ ისვი სახეში
მყვანდით და მეეჭველით რაზმში ჩავაყენეთ»
მაგ ცბიერებას ყველა მიხვდება. «ცუდი მა-
ლაზიანი მგვარს წარწყილობით შეიტყუ-
ებს ხოლმე ხალიხსაო» ამაზედ მკითხველნი
სარწმუნონი ბძანდებიან, რომ თქუენ ჩემი
სტატიას ვერ შემოგიტყუებთ და მაღლით მარ-
ხვას ვერ შეგაწახვნებთ, ვერც ენის მჭევრ
მეტყუელობას მოგაშლევინებთ და რათა
სწუხართ.

«ვნეთა ჯორჯაძისას და ყუვ. ბართოლვს
მართლა სიტყუებში ყუდებნიათ ჩემს სტატიაში
და არა აზრისაო აი ბატონებო! ჯერ ამას
გვიმტკიცებდა ასე არ არის საქმე სიტყუა
არისო და ახალი სიტყუასთან რომ მივიდა აქ
ბძანებს სიტყუა არაფერია საქმე აზრიაო,
სად რა მოხვდება, სად რა მოუხდება და
სად არა, იქ რასაც უნდა იმას ახერხებს.
«მერცხლისა თუნდა ჭყივილი მეთქო თუნდ
ჭიკჭიკი მაინც აზრი ხომ არ მოიშლებო-
დაო» პირველი ზმნა არისო, რადგანაც პირ-
ველი ზმნა არის, რომლითაც აზრი გამოდის
და რადგანაც პირველი აზრია, მაშ ესეც

შეიძლება ვსთქვათ: ჩვენი სახალხო პოეტი თ. ილია ჭავ. თავის უკვდავ ჩანგზედ დასჭიხვნებს ანუ დაღმუის. მითომ რატომა? აზრი ხომ არის, თუნდა დამღეროს, თუნდა დასჭიხვნოს, თუნდა.. სული ერთია, სიტყვა აზრია, სიტყვა არაფერი. ოჰ, სასაცილოა ჭეშმარიტად და სამწუხაროც რომ ასე შეიცვალოს ჩვენი სამშობლო ენა, თითონვე სხვაზედ ანბობს «ცოდვაა, სასიკვდინე ცოდვაა მაგ გვარი წინ დაუხედავი მასხარობალიტერატურაში, ენაზედაო, განა ესკი მასხარობა არ არის: «წირპლიანი, აგანგალა, მორახუნე და სხ. ჩვენკი გვიბძანებს ფეხს ნუ გამოსდევთ ლიტერატურაში, ხალხის სახელითა გთხოვთ ხალხისავე სახელის დასაცველადაო» ოჰ, ჭეშმარიტად თქვენ გამოუჩნდით ქართველთ წერილებს, როგორც ებრაელთ შორის გამოჩნდა სინაშელია პონტოს წარმართი. (*) ახალი ენა ძველის ენას

(*) იქნება ეს საკუთრებითი სახელი უ. მ. უცნაურად მიიღოს, როგორც თეოლოგიკა, რადგანც იმის სტუდენტურს დავთარში არა მეორის მოხსენებული იყოს. ი. ჭ.

არა ჰგავს როგორც ახალი კაცი არა ჰგავს ძველს კაცსაო» როგორა მითომ? რაცა კაცი დაუბადებია ღმერთს, იმ დღიდამ მოკიდებული ერთის სახიერებისა გამოდიან, ესკი ართის, ზოგი იბადება ლამაზი ზოგი გონჯი, ბრძენი და ზოგი სულელი. ძველ დროშიაც ასე ყოფილა და ახალშიაც ასეა, თორემ რა განირჩევა აქეთ, ძველთ კაცთ და ახალთა. ვინც კარგი გამოსულა მაშინაც გამოსულა, ვინც გამოდის კარგი ეხლაც გამოდის, რატომ არა ჰგავს ახალი კაცი ძველსა? ახალი ენაკი არ ემსგავსება ძველისა, ამაზედ მეც სარწმუნო ვარ, რადგან თქჳენ ასე აღადგინეთ ენა. ეს ასოები სულ აღარ ისმის ეხლანდელს ენაშიაო» ჲ, ჴ, ჳ, ჷ, ჵ, სჯობს რომ გადავაგდოთო, რადგანაც რუსეთშიაც ცდილობენ ზოგიერთის ასოების ამოშლასაო» ბატონო! ჯერ მოითმინეთ, გული დააჯერეთ რომ რუსეთში სწორეთ ამოშალონ და შემდგომს თქჳენც იმათ მიბაძეთ, თუ არა და, განათლებულთ პირთ რომ ამდენი ხანია თავიანთ განძრახვა კიდევ ვერ შეუსრულებიათ და იჭვნეულობენ, არ შევცდეთო, თქჳენკი თავს გამოგიდვიათ ვინდა

თუ არა უნდა ამოვშალოთ არ ვარგაო. ჯერ ჰკითხეთ ქართულში დაწინაურებულთ პირთ, საჯობინარი არის თუ არა, შემდგომს თუ იმათაც დაამტკიცეს ისე ინებეთ, თუ არა და, ათასი თავები ვიმტვრიოთ საჭირო არ არის, ვინ რას გაგვიგონებს. მიხედეთ სარდიონ მესხიევს, როგორის ზრდილობიანის კალმით გამხილებთ თქჳენს შეცთომებს, აი მგელი კაცი. არა ჰგვანებია....

დაუყენია დიდს პოეტს ჩემი სუბუქ ფრთით და თქჳენი თვალი დაკვრვებით ერთი არისო, აგრეთვე ჩახრუხაძის პირმცინარით, საიდამ არის თქჳენი ჭირიმე ერთი, სუბუქ ფრთით ორი ლექსია და თვალი_დაკვრვებით ერთი, აგრეთვე პირ_მცინარი ერთათ ითქმის, აი რომ მართლა თითონ არ გაგისინჯამს გონიერულათ. «თქჳენ რომ შინიდამ გარში ფეხი გამოგედგათ გაიგონებდით რომ ხმარობენ, ობოლი ვაზი, ობოლი შტო, ობოლი მარგალიტიო.» არა, შენ მ[illegible] დომნი უფრო გულ დამჯერებით წავიკითხავდით, რუსთაველი ამბობს «ვით მარგალიტი ობოლი ქალი ქალს საგონებელი» მერეც ეს, რომ ბატონის შვილისაგან ნაბმაკები მაგა-

ლითა გამიგონია რაზედაც უწოდებიათ ობო-
ლი მარგალიტი: თავდაპირველად როდესაც
ზღვაში ჩასასვლელად კაცი მიდიოდა თურ-
მე, მაშინ ერთმა ობოლმა ქალმა მისცა ფუ-
ლი და შეისყიდა წინათვე რასაც ამოიტანდა
ის კაცი იმისა უნდა ყოფილიყო. როდესაც
რომ ამოვიდა ზღვიდამ და ენახათ რომ ერთი
მარტივი მარგალიტი ამოეტანა, საშინელი
დიდი და ნათელი, ეთქუათ: ეს ობოლის მარ-
გალიტიაო, და მრავალი მარგალიტი მიეცათ
იმ ქალისთვის და შემდგომ იმისა, სადაც ნა-
ხავდნენ მარტივს და მრავალს მარგალიტს
იტყოდნენ თურმე: ობოლი მარგალიტიაო.
ობოლი ვაზი და ობოლი შტოკი არ გამი-
გონია და თუ თქუენ გიწოდებიათ თქუენის შე-
დგენილის ახალის ენისათვის, ესკი არ ვიცი.
ესე არის ჩვენი უბედურება ჩვენისთანა თა-
ნამშრომლები ჰყავს ცისკარს, თანა მშრომ-
ლებიკი არა ჰუშკინისა არ იყოს, ესე იგი
უსაქმო საქმიანებიო, რომელნიც უფრო ახ-
დენენ საქმეს კიდრე აკეთებენო» ეს უსაქ-
მობა მიეწერება მხოლოდ იმას, ვინც ტუვ-
ლად სიარულში, და მისვლით მოსვლაში
აღამებს თავის სიცოცხლეს. ერთის, მგელის

დროში, აგიანთ გამდელის იტყვიან, რომე-
ლიცა ყოველი დღე წირვაზედ თურმე მი-
დიოდა, მანამ ეკკლესიში მივიდოდა მიტრი-
ალ-მოტრიალეებაში იქ წირვა გამოსული
გახვდებოდა და მანამ შინ მოაწევდა, სადი-
ლი გათავებული დახვდებოდა, ამ გზაზედ
სიარულით და მიზრუნ-მოზრუნებით ორივეს
მოკლებული იყო. თუ უკაცრავოდ არ ვიქნე-
ბა, თქუენცა ამ გზაზედ სიარულით სწორეთ
ისე მოვდით, აქ ქართულისა სცდებით და
იქ ევროპიულისა. მივხედოთ მაინც იმათ,
რომელნიც გული დამყარებით იმყოფებიან
უნივერსიტეტში და, რომელთაგანაც მამული
მოელის ბევრს კეთილს, ა. გ., თუნდა ავიღოთ
მაგალითად აკაკია წერეთელი, მაგრამ თქუენ
რა, დალოცვილო. ბძანებთ «მწერალი ქალი
უსაფუძვლოთ შიშობს რომ მე ვითომც
ლექსებს გაურჩევდე და სხ. რომელი ადა-
მიანი დაიწყებს გამორჩევას იმ კლდეებისას,
რომლიდგანაც არავერს არ ელის იმავე ზა-
ლისის მეტს, იმ კაცს ზღაპარში ნაცარ ქე-
ქიას ემახიანო» პირველად ამას მოგახსენ,
თუ უვარგისია ეგ საზოგადოებამ იცის,
თქუენის ქებით და მაგებით არა იქნებარა,

მეორედ, ნაცარქექიაობის სახელის წოდებას რომ მორიდებულიხართ, ეგკი კარგათ გინე-ბებიათ ამისთვს, რომ იმ ნაცარში ჭნოებ-დით იმისთანას ნაპერწკალს, რომელიც თქჳენვე დიდათ გავნებდათ.

საყჳარელნო მკითხჳელნო! დასასრულს უნდა შეურიგდე თ. ჭავჭავაძეს.

დიდო პოეტო! ახლაკი დრო არის შეგ-რიგდეთ. დალოცვილო, კარგათ იცით და დარწმუნებულნი ხართ, აქ მართლობა არა არისრა, არც ყმაზედ და არც მამულზედ, არამედ მცირე დავა სიტყვერების ღირსე-ბის დაცვაზედ და, ეს შერიგებაც ამით იქნება: თქჳენის სურვილისამებრ, როგორც თქჳენ თვთან ინებეთ, შედგენილი გვაქჳს ჩჳენ და ჩჳენთა მოძმეთა კვარტეტი კრილოვისა, მაგრამ ჩჳენდა საუბედუროდ ერთი გვაკ-ლია, — მომღერალი. იმედი გვაქჳს როგორც პოეტი და კარგი მალალხმოვანი, მიიღებთ მონაწილეობას და ამასთანავე დაგვარიგებთ თუ როგორ დავსხდეთ... ახლაკი მშვიდობით და თუ გსურსთ კიდევ, მეორედ ნახვამდის.

კნეინა ბარბარე ჯორჯაძისა.